

# ახალი

# ბანათლები

2012 წელი, 11 – 17 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№29 (583) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



„ჩვენს სოფელს ახლა  
 დაძეწერილი ხეობა  
 იტავს,  
 გაგვიფეხკრთაღდა  
 ძაგანის და იახსრის მითი,  
 ხმლები კი აწა  
 ხეკსურეთში დაუანგდა  
 მიწა,  
 ახლა კსხედვანთ და  
 აწაგველებს  
 თითებზე  
 ვითვლით.“

გითრგი აწაბულო

გვერდი 8-9

კვლევა  
დასახელებული

ქართულ  
რომანტიკოსთა  
ლიტერატურული  
პრობლემა

ალექსანდრე ჭავჭავაძე  
გვერდი 4

ლიტერატურული კონკურსი

გალა 2012  
გვერდი 5

იურიისტიკის კონსულტაცია

კვლევა  
შეკითხვებს პასუხებს  
სამთხ-ს იურიისტი  
თეგარ აწალიანი

გვერდი 7

**საქართველო**

**ვიკინიშნები**  
ტომი 10

„რა არის რა“  
50-ტომიანი  
ერთი ტომის ფასი  
ნახვლად 11 ლარისა  
**9 ლარი**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“



უ. სომერსეტ მოემი  
**ჭაღი საბუნელი**  
ჯონ ბრაინი  
**გუა ელითისაქან**  
ჯაკ ლონდონი  
**ელი სახლის**  
**უაწანა ელახლისი**



ქართული  
მწერლები

ვაჟა-ფშაველა – V ტომი  
 ვახტანგ ჭაღლიძე – V-VI ტომი  
 ბრიგოლ აბაშიძე – III-IV ტომი  
 ოტია იოსელიანი – X ტომი



გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში,  
 რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

ნიშნი I – კველი ქართული მწერლობა;  
 ნიშნი II – „ვეფხისტყაოსანი“;  
 ნიშნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:  
 თამარ ბელიტაშვილი,  
 ამირან გომარეთელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა საკვარადო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაზიარდებიან საკვარადო ტესტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემთხვევაში შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქვლით ყველა საგამოცდო სირთულა.

კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83



CMYK



# წყალმომარაგება და სანიტარია სოფლად პრობლემებს უქმნის სკოლამდელი ასაკის ბავშვებს



სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის შე-

სახებ ეროვნული კვლევის შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ სოფლად მცხოვრები სკოლამდე-

ლი ასაკის ბავშვები, ქალაქელ ბავშვებთან შედარებით, უარეს მდგომარეობაში არიან ხარის-

ხიანი წყლისა და სანიტარიული პირობების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.


სოფლად მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები, უმეტესწილად, იძულებული არიან ეზოში არსებული ტუალეტით ისარგებლონ, რაც საკმაოდ მოუხერხებელია ზამთარში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტუალეტები სკოლამდელი დაწესებულებიდან ზოგჯერ 60 მეტრის დაშორებითაა.

სანიტარიული მოწყობილობების ხელმისაწვდომობა სკოლამდელი ასაკის ფიზიკურად უნარშეზღუდული ბავშვებისათვის კვლავ პრობლემაა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად.

ამასთანავე, კვლევა რეკომენდაციას უწევს მზრუნველების კვალიფიკაციის ამაღლებას, განსაკუთრებით სოფლად, სკოლამდელ დაწესებულებებში ჰიგიენის ნორმების დამკვიდრების მიზნით, რაც წარმატებისათვის აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევა.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ეროვნული კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით, 2011 წლის დეკემბერში ჩატარდა. კვლევაში სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა და მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული 1277-დან 554-მა ბავშვმა. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გაეროს ბავშვთა ფონდი რეკომენდაციას უწევს ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ეკონომიკურად ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი პროგრამების დანერგვას საქართველოს სოფლებში წყლისა და სანიტარიის სისტემების გაუმჯობესებისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდი თანამშრომლობს ქვეყნის მთავრობასთან, რათა მოხდეს რესურსების მობილიზაცია სკოლამდელ სისტემაში უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით.

# ახალგაზრდებისათვის აივ-ის ნებაყოფლობითი ტესტირება და კონსულტირება



მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ კონფიდენციალური, ანონიმური და უფასო აივ-ის ტესტირებითა და კონსულტაციით, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივის შედეგად, რომლის პრეზენტაცია 26 ივნისს გაიმართა. სამწლიან პროექტს, სახელწოდებით „არასამთავრობო სექტორის გაძლიერება აივ/შიდსის პროფილაქტიკის, მკურნალობის და მოვლის საკითხებში ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ქვეყნებში“, აფინანსებს ევროკავშირი.

მსოფლიოში მხოლოდ შვიდი ქვეყანაა, საქართველოს ჩათვლით, სადაც იმუნოდეფიციტის შემთხვევების რიცხვი 25%-ზე მეტით გაიზარდა გასული ათწლეულის მანძილზე. ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის/დსთ-ს რეგიონის უმეტეს ქვეყანაში, საქართველოშიც ინექციური ნარკოტიკების მოხმარება ინფიცირების უმთავრესი ფორმაა. საქართველოს ხუთ ქალაქში ახლახან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინექციური ნარკოტიკების 40 000 მომხმარებელიდან ორმა მესამედმა ნარკოტიკების მოხმარება მოზარდობის ასაკში დაიწყო. თბილისში დაახლოებით მეოთხედმა ნარკოტიკის მოხმარება 14 წლისამ ან უფრო ახალგაზრდა ასაკშიც კი დაიწყო. იმავე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი იმ ახალგაზრდების ნილი, რომლებმაც აივ-ის ტესტი კვლევამდე 12 თვის მანძილზე გაიკეთეს და შედეგი იცოდნენ, 5% იყო. ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი ახალგაზრდების 17%-მა იცოდა, სად შეიძლება აივ-ტესტირება და 16%-ს უფასო პრეზერვატივები ჰქონდა მიღებული. აღნიშნული პროგრამა შეარჩევს ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაეხმარება მათ ახალგაზრდებისათვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებაში. პროგრამის შედეგად, შეიქმნება ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი, კონფიდენციალური ტესტირებისა და საკონსულტაციო სერვისები, რომლებიც მოემსახურება ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფის 10 000 ახალგაზრდას და რომლებიც დაკავშირებული იქნება პრევენციისა და მკურნალობის უფრო ფართო სერვისებთან. ინიციატივა იმუშავებს პოლიტიკის დონეზეც და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეეცდება გავლენა მოახდინოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაზე. პროგრამის კიდევ ერთი ასპექტი იქნება სამთავრობო დაწესებულებებსა და სხვა პარტნიორებთან კავშირი და საქმიანობის კოორდინაცია, იდეების, საუკეთესო გამოცდილების და ხარვეზების შესახებ ინფორმაციის უკეთესი გაზიარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, დაგეგმილია 60 თანატოლ განმანათლებლის მომზადება

თანატოლებთან სამუშაოდ. ახალგაზრდები შეეცდებიან თანატოლებში გაზარდონ მოთხოვნა აივ-ტესტირებასა და კონსულტაციაზე. პროგრამის შედეგად ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი, საზოგადოებრივი, 3600 ახალგაზრდა გაინიჭება აივ-ზე და მიიღებს კონსულტაციას, რაც მათ საშუალებას მისცემს გააკეთონ გააზრებული არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება ნარკოტიკების გამოყენებასა და სქესობრივ კავშირებზე.

# რაბი განვითარებისთვის!

2011 წელს, საქართველოს რაგბის კავშირის, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იური-

დიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, თბილისში, ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში, დაინერგა რაგბის სასწავლო პროგრამა.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს, რომ ბავშვებს საპატიმრო დაწესებულებებში შესაძლებლობა ჰქონდეთ იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით და აითვისონ სპორტის ფილოსოფია, რომელიც პატივისცემას, პატიოსან თამაშს, ურთიერთმხარდაჭერას და გუნდურ მუშაობას ითვალისწინებს. ეს ასევე ეხმარება ბავშვებს სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

რაგბის გაკვეთილები კვირაში ორჯერ ტარდება, ორი საათის განმავლობაში. გაკვეთილების დროს მწვრთნელები ბიჭებთან ასევე საუბრობენ ცხოვრების ჯანსაღ წესზე, სწორ კვებასა და პირად ჰიგიენაზე. ავჭალის დაწესებულებაში ბიჭებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებიც ესტუმრნენ და მათთან ერთად რაგბი თამაშეს. რაგბის საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო ალფის გათამაშების პერიოდში, ავჭალის დაწესებულებას ახალგაზრდული ნაკრებისა და რაგბის კლუბ „ლელოს“ წევრები ესტუმრნენ და ამხანაგური თამაში გამართეს. ტელესტუდია „ტოტალ რაგბიმ“ კი, აღნიშნული პროგრამის შესახებ ფილმი მოამზადა, რომელიც ოცდაათზე მეტ ქვეყანაში უჩვენეს.

რაგბი, და ზოგადად სპორტი, ყველაზე ბუნებრივი და ქმედითი გზაა ახალგაზრდების სწორ გზაზე დასაყენებლად და ვარჯიშისა და თამაშის გზით დადებითი ფასეულობების დასამკვიდრებლად. დღეისათვის რაგბის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა არასრულწლოვანმა. ზოგიერთმა მათგანმა სასჯელის მოხდის შემდეგ რაგბის თამაში სხვადასხვა პროფესიონალურ კლუბში გააგრძელა. ბევრი მათგანისთვის სპორტი იქცა იმედად და გზად ახალი ცხოვრებისაკენ, შესაძლებლობებისა და მომავლისაკენ. ბევრმა მათგანმა სივარეტს თავი დაანება და აქტიური, სპორტული ცხოვრება დაიწყო.



# თბილისის სკოლებმა დაიწყეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა სპორტულ ღონისძიებებსა და ფიზიკურ აქტივობებში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 100-ზე მეტი მოსწავლე სრულად ჩაერთო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებში თბილისის ხუთ საჯარო სკოლაში. ეს შესაძლებელი გახდა საპილოტე პროექტის ფარგლებში, სახელწოდებით „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა ფიზიკურ განვითარებასა და სპორტში“, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობით და გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით ხორციელდებოდა 2011-2012 სასწავლო წელს.

პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის საკითხებზე გადამზადდნენ ხუთივე სკოლის მასწავლებლები, მათ შორის სპეციალური მომზადების მქონე პედაგოგები და ფსიქოლოგები. ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ ბავშვების მშობლები; ხუთივე საპილოტე სკოლაში მიიღო სპეციალური სპორტული აღჭურვილობა. ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე თითოეული ბავშვისათვის შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მათი პირადი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მიღწევებისა და მიღებული გამოცდილების შედეგად შესაძლებელია აღნიშნული ინიციატივის გაფართოება, რათა ინკლუზიური ფიზიკური განათლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის საქართველოს ყველა სკოლაში დაინერგოს.



# დროსბასწრებული მოაზროვნა - ქართველობის მიზნები მართო ზომიარების გზით მიიღწევა

## 9 ოქტომბერი ნიკო ნიკოლაძის დაბადების დღეა

\* \* \*

„მას აქვთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, ერთი ნადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა, სხვისთვის თავყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად, თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... შენი ბედი და უბედობა, შენი ავი და კარგი, ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა... მე დაბრუნდით მთელი ევროპა, არც საფრანგეთის ამბულელებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეეუცდენივარ და არ მიეუზიდივარ... ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და იქაური დიდი გავლენის იმედს, იმის მაგიერ, რომ იქაურ ცხოვრებას მივებრე და სხვებსავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცხა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ვყოფილიყავი, შენთვის ცოტათოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა... სხვაგან და ჩვენში, მწერალი თუ გაჩუმებული, მუდამ შენი ერთგული მსახური ვიყავი.“

\* \* \*

„სადაც გინდათ, იშრომეთ, სადაც გსურთ, ისწავლეთ, ოღონდ, თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, ოღონდ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის განდიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ, ეცადეთ, გონიერი, სწავლული და პატიოსანი გამოხვიდეთ, მართო ამითაც შეგიძლიათ საქართველოსთვის ხერის მოჭანა. მართალია, ჩვენი ქვეყნისთვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულაი ნასწავლი და დახლოებული შვილები დანარჩენ მის შვილებს პირდაპირ ეხმარებოდნენ, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, მე ოცდაათს შინაურ „უმეტარს“ ერთი გასული „ნასწავლი“ მიჩვენია.“

\* \* \*

„გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების საშუალებით იგვარებს უმაღლეს სახელმწიფო საკითხს.“

\* \* \*

„ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს მზის გარშემო... ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივს. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება... სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუშობრასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწვებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვექონდა, პეტრე დიდსა ან თაობას თავის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუვნებურად მან წარიტაცა ფიზიკის კანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწვევს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, - საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს.“

\* \* \*


„როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ? დროა შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი. დანაშაული კი არა, არამედ ძალა აუცილებელი სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის განვითარებისათვის.“

\* \* \*

„მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა სარწმუნოების დაკარგვამ წავახდინა, აღარ გვწამდა საკუთარი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რალაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება... უცოდინრობა ჩვენი მომრევი და არა მრავალრიცხოვანი მომხდური... ერთმანეთს შევესიეთ და შევეკვდით... ერთმანეთი მინასთან გავასწორეთ, მტერმეზობელი კი შორიდან თვალყურს გვადევნებს და ლოცულობს: „ნამკიდებელი ნაკიდე, ორივეს თავი ნანწყობეთო!“

\* \* \*

„როგორც ჩანს, ერთიანობის მიღწევა, ქართველთა აუხდენელი ოცნებაა, მიზეზი კი ჩვენთვის დამახასიათებელი მანიაკალური მისწრაფება პირველობისკენ: თითოეულ ჩვენთაგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსად მოქმედებდეს. ასეთი მრწამსი და შეხედულება



ბა არ გამოგვადგება. ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა, ამიტომაც ჩვენ, ერთის სურვილით, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთი მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთ მიზნისკენ მიმართული ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი მეხი დავცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას.“

\* \* \*

„სანამ ჩვენ არ მოვახერხებთ ისე მოვანყოთ საქმე, რომ მეტი ღირებულების საქონელი გავიტანოთ, ვიდრე შემოვიტანოთ, მანამდე ჩვენი ვალუტა იქნება სუსტი და დაცემული.“

\* \* \*

„ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს. ფინანსურმა სამრეწველო კაპიტალი უნდა შეცვალოს, გაიხსნას უამრავი ფაბრიკა-ქარხანა.“

\* \* \*

„1871-1873 წლებში რამდენიმე ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურისათვის ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღებინებინა, ბანკის განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა.“

\* \* \*

„ჩვენ რთულ დროში ვცხოვრობთ, ჩვენი ხასიათი თუ ზნე მეტისმეტად მოტყდა, გაუფერულდა, გადაგვარდა... დაბრკოლებების ნინაღმდეგ ბრძოლა გვაძინებს, ბრძოლას ვინ ჩივის, ჯანსაღი აზრი აღარ შეგვრჩა, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ... უზრუნველად, ურეაქციოდ ვუქცერთ ყოველგვარ სიბინძურეს, უხეირობას, ავკაცობას, რაც პირადად არ გვეხება და არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს საზოგადო ქლეკი ყველას ერთნაირად გვანგრევს და სხვების თვალში სასტიკად გვამდაბლებს...“

ყოველი ადამიანი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ეპოქის აზროვნებას, თორემ უვიციობის მსხვერპლი შევიქნებით. მაგრამ ჩვენ, „მამაპაპიულ ხვრინვას“ მიჩვეულნი, „საზოგადო ზნეობით მიძინებულნი“ დღესაც ბედის მდინარეს მინდობილნი, საკუთარ თავში ჩაკეტილნი, იმით ვკმაყოფილდებით, რაც აქამდე მოგვიპოვებია და შეგვიძენია...“

განდიდების მანიით შეპყრობილ ლიდერთა დაუსრულებელი ჭიდილი პირად ინტერესებზე დაამყარებული. დაუნდობელ ბრძოლაში ჩათრეული, გაცივითა საუკენებში გამოვლილი მორალი და ძირს დაცემის განცდით ღირსებაშეღებულ ეროვნული პატივმოყვარეობა... ახლა მას ვერც წარსულის დიდება და ვერც შერეული ჭალარა ველარ გადაარჩენს...“

შეურაცხყოფილი და ხელმოცარული ბრძენკაცობა ლამის საბრალდებო სკამზე დაუსვამთ საკუთარ უძღურებისა და უსარგებ-

ლობის გამო... უზნეობის ლაფში ამოსვრილი „ვეშაპები“ კი თავდაუზოგავად ინარჩუნებენ ბინძურ წყალში ბანაობის უფლებას და ისე იმედი, „ხეპრული პატივმოყვარეობისა და უგუნურების“ ზეიმს დაასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და ცრუ მქადაგებელთა „მამაო ჩვენო“ - „ნინ წყალი და უკან მენყერი“ - საკუთარ თავზე მოვლენილ წყევლას დაემსგავსება.“

\* \* \*

„ყოველ დროს თავისი საქმე და საქიროება აქვს, ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულია!.. სანამ არ შეიქმნება დემოკრატიის ეკონომიკური და პოლიტიკური ნაწინამდევრები, მანამ მდგომარეობა არ შეიცვლება და არ გაუმჯობესდება, სოციალ-დემოკრატების ყველაზე თამამი და დღემდე არსად არ განხორციელებული იდეალი - სიმდიდრის კოლექტიური წარმოება, როგორც კაპიტალიზმის ნინაღმდეგ მიმართული საშუალება... საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ხალხის პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებით, მისი ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს.“

\* \* \*

„დაე, „პარტიათა ბრძოლის“, კამათის გამო ჩვენი ღუმის გამკრიტიკებელმა პირებმა მიგვითითონ მსოფლიოში თუნდაც ერთ წარმომადგენლობით შეკრებაზე, რომელმაც მოსახლეობას გაუნია რაიმე სამსახური ან აასრულა რამე ხელშესახებად სასარგებლო რამ პარტიათა ცხარე ბრძოლებისა და სიტყვამრავალი კამათის გარდა; ერთსულოვან, ერთპარტიულ შეკრებებს, როგორც ისტორია გვასწავლის, ხელისუფალნი და საზოგადოება ყოველთვის მიყავდათ სიბრძნისაკენ. მაგალითებს ათასობით მოგიყვანთ.“

\* \* \*

„უნდა ვწარმოთ, ვთესოთ, მოვიყვანოთ ის, რაც მეტ მოგებას მოგვცემს.“

\* \* \*

„...როგორც დარსდა ჩვენი ქვეყანა, როგორც გამოცხადდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უნდა დაგვეწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შევქმნათ ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენი რკინიგზის, მიმოსვლის, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებით!“

\* \* \*

„დღესასწაული მოელის ჩვენს მთიან ქვეყანას!.. აი, მაშინ გაუთენდება ალღობა ჩვენს მთებს! რამდენი მთის მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია! ეს ყველაფერი გამოიყენება. ეს აუარებელ ჩარხებს, დაზგებს, მანქანებს აამოძრავებს მილიონ ოჯახში, რომელიც შინაურ ხელობას, შინაურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან...“

აქამდის ხალხი ჩვენი წინაპრების სადგომიდან მთებიდან ძირს მიელტვოდა ვაკეს დასაკავებლად, სადაც ხენა-თესვა უფრო უადვილდებოდა. ეხლა კი პირიქით, ვაკედან მთებისკენ, მოძრავ ძალისკენ ავა.“

კვლევათა დასახელებად

მართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

წერილი პირველი

ალექსანდრე ჭავჭავაძე

„ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ფხიზლად მსჯელობა გრძნობათა დაუხმარებლად შეუძლებელია, წერდა იოსებ გრიშაშვილი, - იგი იყო დიდი გრძნობის მომღერალი, უხვი, ლაღი, ჭარბი, გულდოვლათიანი. მისი ლექსის ჯგავარი - ეს არის გრძნობა“ (ჭავჭავაძე 1940; VII).

გავადევნოთ თვალი ამ გრძნობამოძალებული პოეტის ბიოგრაფიას, ორი საუკუნის მიღმა რომ იწყება, იმდროინდელი საქართველოს სვეტ-ბედი რომ ირეკლავს და ასერიგად ბევრს გვეუბნება ჩვენს წარსულზეც და ჩვენს ხასიათზეც.

მოგვხსენებთ, ალექსანდრე ვაჟი იყო გარსევან ჭავჭავაძისა, - რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩის, 1783 წელს გორგიჯივსკი დადებული ტრაქტატის თანაავტორისა და ხელისმომწერის, მეგობრული გარსევანს „პატარა კახის მარჯვენა ხელს“ უწოდებდნენ, ხოლო მტრები გესლიანად ამბობდნენ, რომ „გარსევანმა საქართველოს ერთადერთი ვაჟი შესძინა და სამაგიეროდ დამოუკიდებლობა კი დააკარგვინა“.

ალექსანდრე პეტერბურგში დაიბადა, ეკატერინე მეორის ნათლული იყო, განათლებაც კერძო პანსიონში რუსულ-ფრანგულ-გერმანული მიიღო, მაგრამ როგორც კი 1804 წელს ხმა დაირხა - მთიულეთში ფარნაოზ ბატონიშვილი აჯანყდაო, - ჭაბუკური რომანტიზმით ატაცებული, სახლიდან გაიპარა და მეამბოხეებს შეუერთდა.

აჯანყებულები მალევე შეიპყრეს, - მათ შორის - თერამეტი წლის „ბედის ნებიერი“ - ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელსაც ახლა დროც ჰქონდა და მიზეზიც, რათა მისი საყვარელი ევროპელი რომანტიკოსების მგასავად, სევდიანი ლექსები ეწერა: ეპა, ყარობო, სევდის მკრიბო ნუ გაქვს ღანეთ ბანა, მოკვდავთთვის ჭირი ანუ ძვირი უკვდავ არს განა? ჟამისა ფრთეთა მალად მფრენთა წარიღონ თანა, ჩემებრთა ჰკითხე, წარაკითხე სოფლის ანბანა, მაშინ სცნო რეცა, ერთგვის მეცა ვიყავ პყრობილი. ნუ ჰგონებთ ვითა სიმორითა ვიყომცა ცვლილი.

(ჭავჭავაძე 1940, 126)

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქრესტომათიულად ცნობილი „ვისაც გასურს ჩემთა ამბავთა ცნობა...“ და მთელი წყება ლექსებისა - „ოჰ, წარმავალნი“, „მსურდა ოხვრა“, „ყპრობილისაგან თანაყყობითა მიმართ“, „მნამებ სსოვისსა“ (რომლის ბოლო სტრიქონებიც აქ გავიხსენებ) - მისი პირველი პატიმრობითა და ტამბოვში გადასახლებით თარიღდება.

გარსევანი ვაჟიშვილს ტამბოვში გაჰყვანა და ახლა იქიდან ევედრებოდა ხელმწიფრ-იმპერატორს: „მაჩუქეთ შვილი, აპა-ბიეთ დანაშაული, სიყმარებითა მოუვიდაო!“ თბილისში დარჩნენ გულშეღონებული დედა პოეტისა - მაია და ბიძამისი - მწერალი და მოგზაური გიორგი ავალიშვილი. რამდენიმე თვის შემდეგ, მათ პეტერბურგიდან სასიხარულო ცნობა მოუვიდათ - იმპერატორმა ალექსანდრემ შეიწყნარა თავისი ჭაბუკი სეხნია და პაჟთა კორპუსში განაწესა.

იწყება ალექსანდრე ჭავჭავაძის ზეალმავალი სამხედრო კარიერა: ამ კარიერას ბრწყინვალე ფურცლებიც აქვს და არც თუ სასახელოც - სიტყვაზე, მონაწილეობა კახეთის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში 1812 წელს.

იონა მეუნარგიას თანმოცემით: „ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისციპლინის მონა, ის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე მაინც გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყო“ (მეუნარგია 1954; 22).

ერთ-ერთი შეტაკებისას, ალექსანდრე მუხლში დაიჭრა და აქიმ თურმანიძეთა მალამო რომ არა, საქმე ცუდად წაუვიდოდა. თურმანიძეები მართლაც დროულად გამოჩნდნენ, რადგან თავმომწონე 26 წლის ოფიცერს უკვე აურჩია თავისი საბედო - სარდალ ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ქალი - სალომე. საფიქრებელია, რომ სწორედ მისდამია მიძღვნილი ეს სტრიქონები:

ვარდო კოკობო, ყოვლითა მჯობო, მომხედვე კრულსა, მე შენსა მჭერესსა, განარესსა, თვალ-დაურულსა, მოვედ, მეკონე და მიმონე, მენამლე წყლულსა; ალექსა გრძნობითი, ნამ-ყოფითი სრულ უქმენ გულსა, გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!

(ჭავჭავაძე 1940; 28)

ბესიკის კვალდაკვალ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსი სატრფიალო ბარათად გადაეცემა, მაგრამ, თავისი დიდი წინამორბედისაგან განსხვავებით, ამ ბარათებს ადრესატების სახელებს არ აწერდა. საზოგადოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების უმეტესობის სათაურიცა და თარიღიც პირობითია - ორიგინალში არ არის მინიშნებული.

ნიშანდობლივია ზოგიერთი ავტორისეული კომენტარიც: მაგალითად, ჭავჭავაძისეული ლექსების ნებისმიერ გამოცემამში ვნახავთ მისი ერთ-ერთი ლექსის სათაურში გამოტანილ სტრიქონს - „ნუ მომკალ მწარედ“, იმ დროს, როცა ხელნაწერი დასათაურებულია: „სარ იარი დარამ შაბ. სპარსულია: სურვილი ამაღამ მიჯნურის ნახვისა“ (ჭავჭავაძე 1940; 291).

ქართული პოეზიის ამ, აღმოსავლურ ნაკადთან დაკავშირებით, ოსკებ გრძნობილი წერდა, რომ სამმა მგოსანმა - ბესიკმა, საათნავამ და ალექსანდრე ჭავჭავაძემ „მუხამბაზის ფორმა უმაღლეს ხარისხამდე აიყვანეს. კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძე მალე განთავისუფლდა ირანულ ფორმის ზეგავლენისაგან და თვით ამ მუხამბაზშიაც ახალი სიოს შეტანით და შემდგომში ახალი ფორმის მომარჯვებით (ის ხომ პუშკინის პირველი მთარგმნელი იყო) ჩვენს ლიტერატურაში მაღალი და ბრწყინვალე ადგილი დაიჭირა“ (ჭავჭავაძე 1940; XXIII).

ალექსანდრე ჭავჭავაძის გულდამწვარი მუხამბაზები, როგორც წესი, ჭიანჭურის ან თარ-ჩონგურის აკომპანიმენტს გულისხმობდა. ჩონგურზე თვითონაც უკრავდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით უთბებოდა გული, როდესაც გაიგონებდა, როგორ აჟღერებდნენ მის გრძნობამოძალებულ სტრიქონებს იმდროინდელი თბილისელი აშულ-მესაზანდარნი.

დიმიტრი ყიფიანი წერდა, რომ „იმ სიმღერებიდან, რომლებიც ცოტა თუ ბევრად ცნობილია ყოველი ქართველისათვის, ორი მესამედი მაინც, და ისიც საუკეთესონი გრძნობისა და აზრის სიმალეებით, ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს“ (აბზიანიძე 1950, 18).

მაგრამ გამოხდა ხანი და რუსების შემოტანილმა გიტარამ და ფორტეპიანომ ნელნელ გააძევა აღმოსავლური საკრავები... მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცეს დამდეგს, უკვე ანდრია ყარაშვილს, ია კარგარეთელსა და ფილიმონ ქორიძეს გადაჰქონდათ „დამწერის ლექსები“ ქალაქურ ჰანგზე, ხოლო წარმტაცი ნატო გაბუნია მსმენელებს ჭავჭავაძისეული „ჭმუნვის მახვილით“ ატკბობდა:

ჭმუნვის მახვილი გულსა მსომია: მიკვირს, თუ სული რად არ მხდომია?

მაგრამ ახლა მოგვიწევს გადავიხსენებოთ ბრძოლის ველზე, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძეს არანაკლები წარმატებები აქვს, ვიდრე სასიყვარულო და სამწერლო ასპარეზზე: „ვარსკვლავმიხილი“ ნაპოლეონს დადევნებულ რუსულ ჯართან ერთად, მან ბრძოლით გადასება გერმანია, საფრანგეთი და თეთრ ცხენზე ამხედრებული პარიზში შევიდა, უკვე როგორც ადიუტანტი გამარჯვებული ჯარის ერთ-ერთი სარდლის - ბარკლაი დე-ტოლისა. ოცდარვა წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე პარიზიდან დაბრუნდა ოქროს ხმლით, ზედ ამოტვიფრული წარწერით „გულადობისათვის“ და რამდენიმე საბრძოლო ორდენით. შემდგომი ორდენები მან მიიღო უკვე როგორც გენერალ-მაიორმა, ბაიაზეთისა და თავრიზის ალბისათვის რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომების დროს. იმავე ხანებში ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა სომხეთის ოლქის მმართველად, შემდგომ - სამხედრო-მოსაზღვრე უფროსად კახეთისა და ახლა უკვე მოთარეშე ლეკთა დასაფრთხობად იშიშვლა თავისი ხმალი.

სწორედ ეს ხმალი შემოიხსნა და ჩააბარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ მის დასაბატონებლად მოსულ ჟანდარმებს 1832 წლის დეკემბერში.

1832 წლის შეთქმულებაზე იონა მეუნარგია წერდა: ხუთმეტრიდევ ყმანვილმა კაცმა განიზრახა მოეკლათ საქართველოს მთავარმართებელი და ყველა ცალკე ნაწილების მოთავე რუსები, ჩაეგდოთ ხელში არსენალი, ხაზინა, მეტეხი და ბოლოს საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ“ (მეუნარგია 1954; 22).

საგამოძიებო კომისიას ალექსანდრე ჭავჭავაძე არწმუნებდა, რომ არც კი გაეგონა „იგი ჯოჯოხეთური განზრახვა“. სიყმარებითი ფრანგულიდან თარგმნილი ტრაქტატი - „ახალი თან განჩხრევილი კაცი“, თავისი განწყობით „არაკეთილსაიმედო“ კი იყო, მაგრამ სამხედროდ მაინც ვერ გამოადგებოდა. მაგრამ აი ის, რომ შეთქმულები, გამარჯვების შემთხვევაში, ჭავჭავაძეს სამხედრო მინისტრად სახავდნენ, ხოლო მისივე ცოლისძმა - ლუარსაბ ორბელიანი, ფიცით ადასტურებდა თავისი სიძის მონაწილეობას „მამულის გამოსხნის შეთქმაში“ - საკმარისი აღმოჩნდა, რათა პოეტი კვლავ ტამბოვში აღმოჩენილიყო.

ამ დროისათვის იგი ორმოცდაექვსი წლისა ვახლდათ, ჭალარაშერეული, ცხოვრების სიტკბონაგემი, მაგრამ მარცხის დროსაც ღირსებაუმანარჩუნებელი. ალბათ, სწორედ მას უნდა ეთქვა:

ვაჰ, დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარად, წარმოტყენს, განჰქრენს სიზმრებრივ ჩქარად; მე იგივე ვარ მარად და მარად! არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!

(ჭავჭავაძე 1940; 4).

რუსეთის ტახტზე ამჯერად ნიკოლოზ პირველი იჯდა, ხალხში „პალკინად“ წოდებული. მაგრამ, ეტყობა, მან ჩათვალა, რომ ქართველებთან ლობიოერი პოლიტიკა უფრო ჭრიდა და, თუმცაღა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბრალდებებით ეჭვი არ ეპარებოდა (წერდა კიდევ ამის თაობაზე გრაფ პასკევიჩს), შერისხული პოეტი შეიწყნარა და პეტერბურგს იხმო. სწორედ იქ, პეტერბურგში წარუდგენია ალექსანდრე ჭავჭავაძეს იმპერატორისათვის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი“, რომელშიც იგი შეუფარავად ლაპარაკობდა სასონარკვეთილებამდე მისულ თვისტომებზე და ოდესღაც აყვავებულ, ან კი გაჩანაგებულ ქვეყანაზე: „ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვავდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მონამედ მხოლოდ უტყვი ნანგრევები-და დარჩენილა...“ (ჭავჭავაძე 1940; 241). ადვილი შესამჩნევია, როგორ ეხმინება ეს სიტყვები ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის აღიარებული ნიმუშის, „გოგჩის“ განწყობილებას:

აჰა, პალატა დიდებულითა გრეული ნაშით, აჰა, ქალაქი ჩინებულითა ხვედრი უცილო...

ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წერილში კიტა აბაშიძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ეს სამგლოვიარო კილო მისი ლექსებისა შექმნილი იყო საზოგადოდ მთელი ერის გლოვისა და ოხერის ზეგავლენით“ (აბაშიძე 1962; 23), ამით კიტა აბაშიძე თითქოს არბობებდა თავისსავე უღმობელ განაჩენს: „ალექსანდრე ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდებისა და ვარამის გამოხატველი, პოეტის ამ ნაკულევენების მიზეზი იმალება იმ ატმოსფერო-

ში, რომელშიაც იზრდებოდა, იმ აზრთა ზეგავლენაში, რომელშიაც თავისი სიყრმე-სიყმარული გაატარა და რომელსაც არ შეიძლებოდა თავისებური დალი არ დაესვა ამ მწერალზე“ (აბაშიძე 1962; 19).

„გოგჩა“ 1841 წლიდან დათარიღებული. ამ დროისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე გენერალ-ლეიტენანტია, ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი და საქართველოში ერთი, უწარჩინებულესი ოჯახის მამა.

ჭავჭავაძეებს სამი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდათ: ამათვან ორს - ნინოს და ეკატერინეს - შესტრფოდნენ, ემეგობრებოდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ „ხახვის ფრანტებად“ მონათლული თაყვანისმცემლები, იქნებოდა ეს ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი თუ გიორგი ერისთავი. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ არჩევანი ჭავჭავაძიანთ ქალებზე შეაჩერეს: ნინო მოგვხსენებთ, ალექსანდრე გრიგოლოვზე გათხოვდა და თვალში შესციცინებდა თავისზე ჩვიდმეტი წლით უფროს, ირონიული ჭკუისა და ენის დილომატს და უკვე სახელმწიფო მწერალს, რომელმაც, გზად სპარსეთისაკენ, ფორტეპიანოზე დაკვრის რამდენიმე გაკვეთილით მოაჯადოვა იგი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მუხა - ეკატერინე („კატინკა“, როგორც მას ყველა ეძახდა), ცოლად გაჰყვა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს - დავით დადიანს. და ბოლოს, უმცროსი - სოფიო, უკვე მამის გარდაცვალების შემდეგ მიათხოვეს კავკასიაში საიმპერატორო ადმინისტრაციის დიდმოსხლეს - ბარონ ნიკოლაის.

ჭავჭავაძეთა ვაჟიშვილი - დავითი, მამამისს მხოლოდ დარდიმანდობით დაემსგავსა და მას უპირატესად მამის იხსენებენ, როდესაც წინანდლიდან ლეკების მიერ მისი ოჯახის გატაცებაზე ჰყვებიან. მაგრამ, ეს ამბავი რომ მოხდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე ცოცხალი აღარ იყო. ისე რომ, კავკასიის ომში მისი მონაწილეობა და შამილის წინააღმდეგ დიდოეთში ლაშქრობა პირადი ანგარიშსწორების სურვილით არ იყო ნაკარნახევი.

წინანდლის გახსენებაზე: ალექსანდრე ჭავჭავაძე ევროპეიზმს მხოლოდ ლიტერატურაში როდი წერდავდა - თავისი სასახლეცა და ბაღიც წინანდალში მან სწორედ ევროპულ ყაიდაზე მოაწყო და ქართველ სტუმრებს ჩვენში პირველად ჩამოტანილი როიალითა და ბილიარდით ანცვიფრებდა, ხოლო რუსებსა და ევროპელებს - აღმოსავლური სტუმართმოყვარეობითა და მასშტაბით. თანამედროვეთა თქმით - ჭავჭავაძეებთან სუფრა, წინანდალშიც და თბილისშიც, როგორც ნენსი, ოც კაცზე მაინც იშლებოდა. მრავალი წლის შემდეგაც კი იგონებდნენ ჭავჭავაძეთა სტუმრები მათ ლიტერატურულ საღონს, თბილისური სახლის ბანზე გატარებულ საღამოებს - ტრადიციული ღვთმა-ნესვითა და წინანდლის ღვინით...

ალექსანდრე ჭავჭავაძე შეუდარებელი მასპინძელი იყო: გულუხვობითაც, სიტყვა-მასუხითაც, იერთაც. პოეტის გარეგნობა ჩვენ იმდროინდელი დაგეროტიკებით ვიცით: გადანკეპილი უღვაშებით (სხვათა შორის, ისეთ მწიფეწილობას ანიჭებდა თურმე ამ უღვაშებს, რომ ბოლო წლებში იღებავდა კიდევ), ემპაქურად მოკურული თვალებითა და ჩამოღულე ღლილით... სიტყვიერი პორტრეტიც შემოგვრჩა: „ალექსანდრე შუათანა ტანისა, კარგი თვალადი, კარგი ზრდილი, თავმდაბალი, როგორც ეკადრებოდა დიდი კაცის შვილს, კარგი მოლაპარაკე იყო...“ - უყვებოდა ქეთევან ორბელიანი იონა მეუნარგიას (მეუნარგია 1957, 305).

ქუჩას, რომელზეც ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისში ცხოვრობდა, მისი სახელი პოეტის სიცოცხლეშივე დაარქვეს: ეს არც იყო გასაკვირი. პატივი მიავს ბრწყინვალე თავადს, მამაც მხედართმთავარსა და უმაღლესი რანგის მოხელეს. ეს ჩამოთვალა, ერთი შეხედვით უნდა დამთავრებულიყო სიტყვებით - „და სახელმწიფო მთავარს“ მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიცოცხლეში მისი პრესტიჟი სწორედ სახელმწიფო და სამხედრო კარიერასთან იყო დაკავშირებული და არა იმ „მეღელქეობასთან“, რომელსაც, ვგონებ, თვითონაც მონათლული არისტოკრატის მოცალეობის ჟამს გულის გასაოხრებელ საშუალებად მიიჩნევდა და არა თავის უმთავრეს და უპირველეს მოწოდებად. ამიტომაც, არც თავისი ლექსების შეკრებაზე უზრუნვია, არც მათ გამოქვეყნებაზე.

1846 წელს პირველად დასტამებული მისი ლექსები, - დავით ჩუბინაშვილს რომ შეეტანა თავის „ქრესტომათიაში“ და პეტერბურგიდან გამოეგზავნა, უკვე გარდაცვლილი ავტორის სასთუმალთან იდო.

ეგებ სიმბოლურად იყო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე სწორედ სამსახურებრივმა რიტუალმა იმსხვერპლა.

ჩვენს მეხსიერებას სკოლის მერხიდან შემორჩა აღწერა იმისა, თუ როგორ დაუფრთხა ცხენი მფრისნაცვალ ვორონცოვთან ვიზიტით მიმავალ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორ წამოიწია იგი მეეტლის მისამეველებლად და თვალის დახამბამებაში, როგორ დაანარცხა ეტლის ბორბალში მოყოლილმა გენერლის შინელმა ქვაფენილს ეს უმარცხებელი მხედარი...

თბილისი გლოვამ მოიცვა: ოჯახი ეთხოველიდა თავის ბურჯსა და იმედს, ლიტერატორთა ახალთაობა - ქართული რომანტიზმის მამამთავარს, თანამებრძოლნი - მამაც და საზრიან მხედართმთავარს. „უნუგეშოდ ჭმუნავს მთელი საქართველო“, - წერდა პლატონ იოსელიანი. „თბილისის მთელი მოქალაქეობა თავის ამქრებით და ბიარალებით გაჰყვა მას საუკუნო განსასვენებელთან“ (ჭავჭავაძე 1940, XVIII).

კახეთის პირველი მემამულე შუამთაში დაკრძალეს - საგვარეულო ძვალთმესალაგში, რომლის ხავსიანი სიღრმიდან ექოდ მოისმოდა ოდესღაც ნათქვამი: „გვძლივა სოფელმან ხელმყოფელმან, ან გვაგო შური...“

# გალა 2012

## ლალი ჯელაძე

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის **ზაალ სამადაშვილის** ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით, უკვე მეექვსე წელია იმართება და „თბილისობის“ დღესასწაულის ინტელექტუალურ ნაწილად იქცა.

კონკურსის მიზანი მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია და მწერლების ერთგვარი ნახალისებაა. გამომცემლობებისგან შერჩეული წიგნებიდან გამარჯვებულების გამოსავლენად 5-კაციანმა ჟიურმა იმუშავა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მთარგმნელი **ნინო ქაჯაია**, მხატვარი **დიმიტრი ერისთავი**, მწერლები: **ზურაბ სამადაშვილი**, **მამუკა ხერხეულიძე** და ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე **ნინო კუხალაშვილი**.

წელს კონკურსზე საკუთარი პროდუქცია ოცმა გამომცემლობამ და ეროვნულმა კინოცენტრმა წარმოადგინეს. შემოსული 183 წიგნიდან და 20 კინოსცენარიდან ხუთკაციანმა ჟიურმა 23 ნომინანტი დაასახელა, გამარჯვებულები 7 ოქ-

ტომბერს, ეროვნულ მუზეუმში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე დასახელდა.

წლევანდელი „გალას“ გამარჯვებულები, ნომინაციების მიხედვით, არიან:

◆ **სამაგიდო წიგნი** – ბესიკ ხარანაული, „ლექსები, პოემები“ („ინტელექტი“);

◆ **წლის წიგნი** – ბაადურ ბალარჯიშვილი, „კიპარისები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“);

◆ **თარგმნილი წიგნი** – ჯეიმზ ჯოისი, „ულისე“ – თარგმნა ნიკო ყიასაშვილმა („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“);

◆ **საბავშვო წიგნი** – თეა თოფურია, „გასაღვიძებელი ზღაპრები“ (დიოგენე);

◆ **წიგნის მხატვრობა** – რუდოლფ რასპე – „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, მხატვარი – თამარ ბაქრაძე („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“);

◆ **წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი** – მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანთა სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ („დიოგენე“);

◆ **წლის კინოსცენარი** – მარიამ ხაჭვანი – „დედე“.

წელს სიახლე იყო საპრემიო ფონდში – ბრინჯაოს ხანის კოლხური ცულის ასლთან ერთად გამარჯვებულებს, 4 000 ლარის ნაცვლად, 5 000 ლარი გადაეცათ.

ლიტერატურული კონკურსი მუსიკალურად თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრმა გააფორმა.

„გალას“ დაჯილდოების წლევანდელი ცერემონიალი საკრებულოს თავმჯდომარემ **ზაალ სამადაშვილმა** წაიყვანა და ლიტერატურული კონკურსი, „ძველი ხელობით“ პროზაიკოსმა, მართლაც, კიდევ უფრო საინტერესო გახადა.

**ზაალ სამადაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე: „აღმოჩნდა, თურმე ისე ვაფრინდა ჩემი ცხოვრება, რომ 33-ე თბილისობას ვზეიმობთ. არ მეგონა, რომ ამ დღესასწაულს ასეთი ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. გამახსენდა გურამ რჩეულიშვილის „ალავერობაში“ აღწერილი თბილისობა – „იყო დრო, როცა ეს დღესასწაული უაზრო ბორილას და ღრეობას ჰგავდა.“ ბოლო 7 წლის განმავლობაში, ისევე როგორც ძალიან ბევრმა რამემ ჩვენს ცხოვრებაში, „თბილისობაში“ იცვალა სახე. დედაქალაქის მსგავსად ისიც მონესრიგდა, გაღამაზდა და მხაც შეიძინა ჭეშმარიტი ზეიმის ელფერი და სახე. „თბილისობა“ წლის მანძილზე განუვლი გარჯის, მისი შედეგების დემონსტრირებაა. თითოეულ ჩვენგანს საშუალება ეძლევა ნახოს, როგორ გაისარჯნენ არქიტექტორები, მშენებლები, ხელოსნები, მხატვრები, მწერლები, საჯარო მოხელეები. არა მარტო ნახოს, შეაფასოს კიდევაც ყოველივე „გალაც“ ამ პროცესის ნაწილია, „გალაც“ განახლებული, გამშვენიერებული და მონესრიგებული თბილისის პირშოა. „გალაზე“ წიგნებს და მწერლებს აფასებენ, მათ, ვინც არ იყო ან არ არის ყურადღებით განებივრებული, ვისაც დიდი სიამოვნების მინიჭება შეუძლია მკითხველისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გალა“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიაა და დარწმუნებული ვარ, რომ მას ძალიან კარგი მომავალი აქვს. წლევანდელი ნომინაციები უცვლელია, არის სიახლე – გაიზარდა საპრემიო ფონდი. ნაცვლად 4000 ლარისა, გამარჯვებული 5000 ლარს მიიღებს. ამასთანვე, არც ჩვენი მეორე ჯილდო შეცვლილა, გოგი ოჩიაურის „კოლხურ ცულს“ გადაეცემთ. უცვლელია წლევანდელი ჟიურიც.“

თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** „გალა“ ყველაზე ობიექტურ კონკურსად შეაფასა: „უკვე მერამდენე წელია, გვაქვს პატივი ვიყოთ მონაწილე ამ მართლაც ძალიან სასიამოვნო და სასარგებლო კონკურსის. ის შედგა, როგორც კონკურსი, რადგანაც კონკურსს სჭირდება ხოლმე დრო და სწორედ დრო ავლენს მის მდგრადობას. „გალა“ უკვე გახდა საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების ნაწილი, მეორე მხრივ, გულწრფელად შემოიძლია გითხრათ, რომ მე არ მინახავს ამაზე მეტად დემოკრატიული და ამაზე მეტად კონკურენტული კონკურსი საქართველოში. ზოგადად, კონკურენცია კარგია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის სამართლიანი და საინტერესოა – „გალა“ ამის საუკეთესო ნიმუშად იქცა. მინდა წარმატება ვუსურვო ორგანიზატორებს, მონაწილეებს და, რაც მთავარია, მკითხველს.“

კულტურის მინისტრმა **ნიკოლოზ რურუამ** პრემია სცენარის ნომინაციაში გამარჯვებულს გადასცა და ასეთი სცენარების აღმოჩენა და დაჯილდოება ქართული კინოს გან-



ვითარების საწინდარად აღიარა: „პირველ რიგში გეტყვი იმას, რომ ძალიან მიხარია მარიამის გამარჯვება, რადგანაც ამ კინოსცენარს აქვს სერიოზული პოტენციალი, რომ იქცეს დიდ ფილმად, რადგან ის არის უნივერსალურ ლირებულეებზე; ეს არის სცენარი სვანურ ტრადიციებზე, რომელიც გასაგები იქნება იაპონელებისთვისაც, შოტლანდიელებისთვისაც და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის, ქართველებისთვისაც. მინდა კიდევ ერთხელ წარმატება ვუსურვო მას და დიდი მადლობა ვუთხრა კინოცენტრს და ზაალ სამადაშვილს იმისთვის, რომ სცენარი, როგორც ნომინაცია, შარშან დაემატა დასაჯილდოებელი ნომინაციების რიცხვს. კარგი სცენარის გარეშე ფილმი რომ არ არსებობს, ვიცი და ეს იყო ის, რაც წლების განმავლობაში ქართულ კინოს რეალურად უშლიდა ხელს თავისი პოტენციალის რეალიზებაში. დღეს გაჟღერებული ახალი სახელები თავს კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებენ და დარწმუნებული ვარ, მათ როგორც ლიტერატურულ სფეროში, ასევე კინოინდუსტრიაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიცნობენ. ასე რომ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჟიურის, ეს სცენარი რომ შარშან ჩვენს კონკურსს შემოუერთდა ეროვნული კინო-

ნოცენტრიც, რომელიც მეორე წელია, კინოსცენარებს გვთავაზობს. ამ მოვლენის მნიშვნელობაზე უკვე ბევრი რამ ითქვა და სიტყვას აღარ ვაგავრძელებ. მიხარია, რომ „გალას“ გამარჯვებული სცენარისტები ახალგაზრდები არიან. ჩემთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ექვსი წლის განმავლობაში მოვახერხეთ, ერთსა და იმავე ადამიანს არ მიელო პრემია და თან მოთხოვნებიც არ შეგვერბილებინა. თუმცა ეს შეუძლებელი იქნებოდა, დღევანდელი ლიტერატურის ისეთი რომ არ იყოს, როგორც არის. წინა წლების შედეგებსაც თუ გადავხედავთ, ალბათ დამეთანხმებით, რომ „გალას“ პრემირებული ყოველთვის ქართული ლიტერატურისა თუ მხატვრობის ღირსეული წარმომადგენლები არიან.“

„გალას“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ზაალ სამადაშვილმა პოეტ ბაადურ ბალარჯიშვილის სიტყვებით დაასრულა: „არ ვიცი, რამდენად მოუხდება ან დამეთანხმებით თუ არ დამეთანხმებით, მაგრამ საზეიმო ცერემონიალი ბაადურ ბალარჯიშვილის ერთი სტრიქონით მინდა დავასრულო, რომელიც ჩემი თაობისთვის, ჩემზე უფროსებისთვის და უმცროსებისთვის ძალიან ახლობელია, მშობლიურია და ძალიან თავისია. მარტივი სტრიქონია, მაგრამ ღრმა და მნიშვნელოვანი... და საერთოდ, ერთ რამეს ვურჩევ ყველას – ნაიკითხვით და მიხედვით, რომ ქართული პოეზია გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ეს თითოეულ ჩვენგანს გვეგონია. ხოლო რაც შეეხება სტრიქონს, ასეთია: „მე ლამაზი უკვე ვიყავ, ახლა მშვენიერი ვარ!“



რეზო სირაძის ხსოვნას



სახისმეტყველებითი განმარტებასი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

დასასრული

ჩვენგან მოტანილი სიტყვებში მოცემულია „მალაის“ საკმაო უზუსტი დეფინიცია და მას მაგალითებიც მოჰყვება. მაგრამ საბა ამით არ კმაყოფილდება და ისეთ მაგალითებსაც მოიხმობს, რომლებიც მხატვრული განსახილველის პოტენციის შემცველია. სწორედ რომ, პოტენციის დონეზე მოიხმობს ბოლო მაგალითებს და არა მათი უშუალო მხატვრული რელიეზების სახით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ რაკი საბა „მალაის“ უკავშირებს მეფეებს, მას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა რუსთველის სიტყვა ხმარება, როცა ამ სიტყვას წორედ მხატვრული შინაარსი აქვს, როგორც მეფეა „მალაის უხვი, მდაბალი“. აქ „მალაისა“ და „მდაბალის“ გვერდიგვერდ ხმარება მათ მხატვრულ პირობითობას გულისხმობს, რაც არ ითქმის სიტყვაზე „უხვი“, ამიტომ ის არც ითვლება ეპითეტად.

„მალადა ითქმის ჰაერთა შინა ფრინველი“, - უნდა გულისხმობდეს არა მაინცდამაინც ფრინველებს (ჩიტებს), არამედ ფიგურალურად - ჰაერთი ფრენას (ამას ადასტურებს სხვა რედაქციის იკითხვის: „ჰაერთა შინა მფრინველი“). აქაც მხატვრულობის პოტენციის დონეზეა მოცემული სიტყვის შინაარსის წარმოდგენა. საყურადღებოა ოპოზიციური განმარტებაც: „სიმდაბლე (29,15 ეზეკ.) გული აღუზავებულები და შემუსრვილი“ (ვარიანტულად: „სიმდაბლე - გონება აღუზავებულები და გული შემუსრვილი“). მაშასადამე, ფრენაც შეიძლება გულისხმობდეს არა მაინცდამაინც ფრინველის ფრენას, არამედ - აღმაფრენას და ზოგჯერ ამნაირი წარმოდგენის შესაძლებლობას შეიცავს - „მარალიც“.

ლექსიკონში ვკითხულობთ: „მდინარე - (2,10 დაბად.) - არს წყალი დიდი მონადენი. მდინარედ ითქმის სისხლიცა და ცრემლი“.

„წყალი დიდი მინადენი“ მდინარის განმარტებისათვის სავსებით საკმარისი იყო, ხოლო „მდინარედ ითქმის სისხლიცა“ - ეს სხვა არაფერი შეიძლება იყოს თუ არა მხატვრული წარმოდგენა. საბას ეს გააზრებაც დასტურდება „ვეფხისტყაოსნით“: „დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა გასისხლმდინარდა“. რუსთველთან მხატვრულადაა მოცემული ის, რაც საბასთან იგულისხმება. ეს იმიტომ ხდება, რომ ლექსიკონის ბუდეები აქცენტირებულია სიტყვებზე და არა მხატვრულ ტექსტთან ანალიზზე. თუმცა სიტყვათა მხატვრული პოტენციის წარმოჩენისას სააზროვნო სფეროში შემოდის მხატვრული ტექსტებიც, უშუალოდ ან რემინისცენციებით.

ორიენტიცა სიტყვათა მხატვრულ ბუნებაზე მხოლოდ საბას პირადი მწერლური მიდრეკილებით კი არ აიხსნება, არამედ თვით ქართული სიტყვის ბუნებიდან ამოსვლით.

„კეთილი - (12,33 მათ.) - ეს კეთილი არს ნაწილი კეთილობისა, ხოლო კეთილობა ტბა რამე უკიდო, ხოლო სიკეთე არს წინაბჭე და ეზო კეთილობისა“. აქ „კეთილი“ არცაა სრულად განმარტებული. მოცემულია მხოლოდ გვარსახეობრივი მითითება: კეთილობა-კეთილი. კეთილობა „ტბა უკიდო“, მისი „წინაბჭე და ეზოა“ სიკეთე.

ძალზე ხშირად ლექსიკონში არაა წარმოდგენილი საგნის თვისება ან მოვლენის ნიშანი თავისი სპეციფიკით და მას ცვლის წარმოდგენა თვისებისა ან ნიშნისა. „ბლანტი-მოსქო სასმელი, გინა ლვინო. ფრინველი მძიმედ მფრინავიც ბლანტად მფრინავად ითქმის; „ბორგა - ესე არს მიუმყორებელი ნაღველი, კაცი გულის წყრომით ვერც დადგეს და ვერც დაჯდეს“.

„ბლანტი“ სითხის თვისებაა („მოსქო“) და არა მხოლოდ სასმელისა. საბას ეს ნიშანი ფიგურალურად გააქვს ფრენაზე, როგორც მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე. და ამით გზას უხსნის ამ სიტყვის მოხმარებას მოძრაობის სხვა ფორმათათვისაც. აქვე ტროპულობას ანიჭებს „ბლანტის“ სახეობრივი გააზრება „მძიმეს“ („მძიმედ მფრინავი“). „მძიმეს“ განმარტებისას საბა არ ასხენებს წონას, არამედ წარმოაჩენს იმ „რადაცას“, რომელიც სიტყვის უზუსტი სემანტიკური განმარტებისას შეიძლება მიღმა დარჩეს („მძიმე - ქვედამზიდველი“).

„ბორგა“ კი, არაა ნაღველი. წმინდა ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, ასეთი განმარტება უზუსტოა, მაგრამ საბა ამჯობინებს მისი მნიშვნელობა შეგავარძნობის მხატვრული წარმოდგენით („კაცი გულის წყრომით ვერც დადგეს და ვერ დაჯდეს“).

„მწარე (15,23 გამოსლ.) არს გემო პირის დამწველი. მწარედ ითქმის სამწუხარო სიტყვა გოდებათა და ცრემლნი გინა ბოროტ მოუბარი ენა, ანუ გვემა და ტანჯვა სასტიკი, უფროსად მწარე არიან უნანელთა სიკვდილი და ჯოჯოხეთი“.

„თქრიალი - რა ჯოგი სხვაგნით გაბრუნდეს და გაიქცეს, თქრიალად უწოდებენ“.

იკანკელი - „ესე არს მიმოცვალებითი მოქმედება ვითარ-იგი წყალი თევზთა და მფრინველთა და კუერთხი მოსესი გველად და ეგვიც თარი. ესე არს აღმართში მიმრეც-მომრეცად აღსვლა და მიხვევ-მოხვევით შეხვევა, რათა არა დაშრეს“. ამ განმარტების წყაროდ მითითებულია წმ. დიონისე არეოპაგელი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად ესესება საბა სხვას. ამგვარი დასესება ადასტურებს, რომ საბა სხვისგან მოიხმობს იმას, რაც მის პოზიციას მიესადაგება. ჩვენ სწორედ მის პოზიციაზე გვაქვს საუბარი.

მაგალითად, ცნობილია, რომ საბას ეფრემ მცირის სქოლიოებიდან აქვს აღებული შემდეგი განმარტება: „შური - (31,2 რიც.) შური არს მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“, მაგრამ ტროპოლოგიურად იგი შეესაბამება საბასეულ განმარტებათა ხასიათს.

მოვლენათა სისტემატიზაციის ნიმუშად ს.ს. ორბელიანს შეიძლება გამოსდგომოდა იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ფილოსოფიური ნაწილი (ზემოდასახლებული „კათილორია“), რომელიც არისტოტელეს „ორგანონზე“ დამყარებით შეიცავს ყოვლისმომცველ კატეგორიოლოგიას. ამისი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ლექსიკონიდან (მათი განხილვა ჩვენი მიზანი არაა). მიუთითებთ მხოლოდ, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი საბა მიდრეკილებას ამჟღავნებს სახისმეტყველებითი აზროვნებისადმი, რითაც აღბეჭდილია ცალკეული განმარტებანი. მაგალითად, „ლამაზის“ ბუდეში განმარტებულია: კეკლუცი, კეკელა, მწყაზარი, შევენიერი, სანდომი, სახნიერი და ჰაეროვანი. „კეკელი - სილამაზისა და მოხლომის მცდელი“. აქ „მცდელი“ სახისმეტყველებით წარმოდგენას ითხოვს. ასეთივე განმარტება: „ჰაეროვანი - რომელი ხატკეთილობით მოხლომილ იყოს“.

„მინის“ განმარტებაში დეფინიციის ცვლის მისი მიმართება მხატვრობასთან: „მინა - არს ფერადი ელვარედ შემზადებული, ილეკროთა ზედა მხატვრულად ქმნად შემზადებული“.

განზოგადებასთან ერთად თითქოსდა კონკრეტული სახისმეტყველება უნდა კლებულიდეს, მაგრამ საბასთან ხშირად პირიქითაა: „სანდომი - მოსანადი“, „სანდომობა - სილამაზის მარლი“.

დეფინიციის წარმოდგენა ცვლის შემდეგი

ტიპის განმარტებებშიც: „გარდათხმა - გარდაფენასავით“; „დონდელი - შეფერებასავით“ (ვარიანტულად: „ქანებასავით რამ“), „სანყალობელი - შესაბრალისსავით“.

მეტ-ნაკლებად ყველა, მაგრამ განსაკუთრებით ზოგიერთი სიტყვა მთელი სისრულით ავლენს საბას ლექსიკონიდან ქართულ ენობრივ მსოფლმხედველობას, რაც უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ მხრივ ყურადღებულა „სკნელი“ (ი. სურგულაძე). საბა განმარტავს: „სკნელი - (კიდურივით), რამეთუ ვიტყვი: ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი, ესე არს ვითარცა დასასრული რამე კიდეთანი“. საბა არ აზუსტებს, რომ ამ სიტყვებში აღბეჭდილია ქართული კოსმოლოგიური წარმოდგენები, ვფიქრობთ, ეს იმისთვის ხდება, რათა არ დასაზღვროს ამ სიტყვათა თავისუფალი ხმარება, ე.ი. მათთვის გადატანითი მნიშვნელობის მინიჭების შესაძლებლობა. ამისთვის მინიშნებს მხოლოდ ზოგადზე: ცალკეული მათგანიც ასევე ზოგადადაა განმარტებული: „გარესკნელი (22,13 მათე) - გარე კერძი“; „უკანასკნელი (2 მეფ. 13,16) - უკან, ბოლოს“; „გარესკნელი და უკანასკნელი არ მიემართებიან ერთმანეთს იმგვარივე პოლარულებით, როგორც „ზესკნელი“ და „ქვესკნელი“. ზესკნელზე წერია „(2 მეფ. 28,29) - ზეით უმაღლესი კიდე“ და დამატებულია „ანგელოზთა სამეფო“. ამის საპირისპიროდ: „ქუესკნელი - (2,10 ფილიპელ) ჯოჯოხეთი“.

ენობრივ მსოფლმხედვას ყველაზე მეტად წარმოაჩენს სახისმეტყველება, სიტყვისადმი მხატვრული მიმართება. მწერალი სიტყვას კი არ „ანიჭებს“ მხატვრულ-გამომსახველობით უნარს, არამედ, პლატონის „მეიეგტიკის“ პრინციპის კვალობაზე თუ ვიტყვით, ავლენს, რაც მასში არის, რაც პოტენციურად არსებობს. ქართული სახისმეტყველების საფუძველთა საფუძველია ნათლის ესთეტიკა (საკმარისია გავიხილოთ „ვეფხისტყაოსანი“ ან „დავითიანი“, იხ. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის - ლიტ. ესთეტ. ნარკვევები, 1985 წ.), მაგრამ ამგვარი მსოფლმხედვა თვით ქართულ ენაშია. კ. კეკელიძე წერდა: „ქართველებს გაქრისტიანების აღმნიშვნელად სხვა ტერმინი არ მიუღიათ, თუ არა „ნათლვა“, „ნათლისღება, მონათლვა“ (ბერძნული baptizmos - წყალში ჩაყურყურება - რუსული крестить სიტყვისაგან „ჯვარი“). - ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 192).

ქვეყნის გაქრისტიანების აღსანიშნავად იხმარებოდა „მოქცევა“ („მოქცევა ქართლისა“) მაგრამ „მონათლვა“ ან „ნათლისღება“ უფრო შეესაბამებოდა ქართულ ენობრივ მსოფლმხედვას.

ენობრივ მსოფლმხედვის თვალსაზრისითაა ყურადღებული შემდეგი განმარტება: „თხელი - ესე არს, ქარტის მსგავსი რაეცა იყოს: თხელად ითქმის ლარი და შარი ფარჩაბი, გინა ზღვა და მდინარე ღრმა არა იყოს, გინა ნაყოფი შორის შორს იდგენ, გინა ფურცელი უხშირო, გინა კაცთა თმა და წვერი, ხშირი არ ესხას; თხელი ეწოდებიან ჭიქასა, თალხსა და მისთანათა ქვათა გამჭვირვალეთა, თხელი არს ყოველივე სიზრქისა და სიხშირისა და სიმტკიცისა და სიხშირისაგან მოკლებული“.

როგორც ვხედავთ, ბოლოს შეჯამებული სახითაა მოწოდებული „თხელის“ სემანტიკური ველის საზღვრები: - „ყოველივე სიზრქისა და სიხშირისა და სიმტკიცისა და სიხშირისაგან მოკლებული“. არასრულია „ზრქელის“ განმარტება: „გაუმჭვირვალი, იქით არა ჩანდეს რა“.

„ქართულში ცალკეა აგრეთვე აღნიშნული „თხელის“ უმაღლესი ხარისხი - მაქსიმალურად თხელი - „სიფრიფანა“. სულხან საბა ორბელიანის მიხედვით („სიტყვის კონა“), „სიფრიფანა ესე არს, რომლის სიგრძე და სივრცე განიზომებოდეს და არა აქუნდეს სიღრმე გასაზომი“. გარკვეულ შემთხვევაში „სიფრიფანა“ გამოხატავს უაღრესად „თხელს“, მაგრამ არა ყველა საგნის მიმართ“ (გ. რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 194-195). აქვეა შეპირისპირებული ქართულისა სხვა ენებთან ენობრივი მსოფლმხედვის თავისებურებათა წარმოსაჩენად.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: ჩვენ ვეხებით საბას ლექსიკონში სიტყვათა სახისმეტყველებით განმარტებებს და მიზნად ვისახავთ ამ გზით მიუახლოვდეთ სიტყვათა მხატვრულ პოტენციას, მაგრამ რამდენად მართებულია ასეთი მიზანდასახულობა, როცა სახისმეტყველებაში ამოსაცნობია საღვთისმეტყველო შინაარსი?

შესაბამისი მაგალითები ლექსიკონში მრავლადაა:

„სასმელი (10,42 მათე) - წყალი, ღვინო და მისთანათა; ხოლო ქრისტეს მიერ თქმული ერთი იგი სასმელი სიკვდილი არს (26,42 მათე)“.

„სიძე“ განმარტებულია ორჯერ, ორ სხვადასხვა ბუდეში: „სიძე (25, 6 მათე) - სულის სიხარული ქრისტე“ და „სიძე - ქალის ქმარი“.

„სძალი“ ერთი ბუდითაა განმარტებული: „სძალი (38,24 დაბად.) - ძის ცოლი, სძალადე ითქმის მამლისაგან ძმის ცოლი, სძალი არს ქორწილისანი ქალი; სძალად ქრისტესა ითქმის უბინონი სულნი ქალწულთანი (25,2 მათე); სძალად იწოდების ეკლესია ქება-ქებათა შინა“.

როგორც ვხედავთ, საბა აფიქსირებს სიტყვათა ორგვარ მნიშვნელობას: ერთია ყოფითი, ცხოვრებისეული, ხოლო მეორე საღვთისმეტყველო. საღვთისმეტყველო შინაარსი სიტყვას ენიჭება, თუკი მას ვიყენებთ ოდენ სიმბოლური მნიშვნელობით. ამგვარ შემთხვევებში „სიძე“, „სძალი“ ან მისთანანი არაა ჩვეულებრივი ომონიმები. ომონიმების სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას (ვთქვათ: ხელი - მარჯვენა ან ხელი - გიჟი) ჩვეულებრივ ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო.

ჩვენის აზრით, აქ თავისებურად მჟღავნდება ქართული სიტყვის ერთი ფრიად საყურადღებო თვისება. ესაა სემანტიკური ბინარულობა (მნიშვნელობის ორგვარობა).

გასაგებია, რომ „სიძე“ და „სძალი“ ყველა ენაში ასევე ორგვარი მნიშვნელობით უნდა მოიხმარებოდეს, მაგრამ როგორც სპეციალური შესწავლა გვიჩვენებს, სემანტიკური ბინარულობა გამჭოლი ტენდენციაა ქართულისთვის. ამას ადასტურებს სხვა სული (სამშვიველი და მსოფლიო სული), გონი (ადამიანისა და მსოფლიო ძალა), სახე (პირისახე და არსი), ასო (ბგერის ნიშანი და პირველენემენტი), სოფელი (საცხოვრებელი ადგილი და წუთისოფელი), ერი, მღვდელი, პირი, სიტყვა და მრავალი სხვა. ხოლო ზემოთხსენებულ მაგალითებიდან სკნელი, დრო, ჟამი და სხვანი.

ბინარული სემანტიკის მქონე სიტყვათა მნიშვნელობანი ერთმანეთთან ვაგვიშორია. „სულის“ (дух) კოსმოლოგიური მნიშვნელობა ეხმიანება ამავე სიტყვის ამქვეყნიურ მნიშვნელობას (душа). მსოფლიო სული გაიზარება ანთროპომორფული გზით. ასევეა „სიტყვა“ და სხვა.

„სძალი“ ეკლესიას გულისხმობს სახისმეტყველებით. ამ სიტყვას რელიგიური შინაარსი ენიჭება სახისმეტყველებით. ეგვევ ითქმის სხვა სიტყვებზეც. „სიძე“ ან „სასმელი“, ანუ თუნდაც - „მწყემსი“ (- „მეცხვარე,

მწყემსი, მღვდელი“) და მრავალი სხვა.

სახისმეტყველებითი განმარტებათა საუკეთესო ნიმუში საბას ჰქონდა ეფრემ მცირის უნიკალური თეოლოგიური ლექსიკონის სახით, რომელიც მთლიანად დამყარებულია სახისმეტყველებით გააზრებებზე (იხ. მზ. შანიძის გამოც. – თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11).

აღნიშნული თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს თვის საკუთარ სახელთა განმარტებანიც: „სიონი – სამასალო, გინა დეტი, სიონი – სადგური ღვთისა ტაძარი, გინა უფალი, გინა მცნება. სიონი ეწოდების მაღალსა, რომელ არს ეკლესია“ (ვარიანტულად: „სიონი გამოითარგმანების სამასალოდ, რომელ არს გუშავი, გინა დეტი, რომელი შორით ხედვიდეს“. სხვაგან განმარტებულია: „დეტი – დარაჯასთან ნახეო“, ხოლო „დარაჯა შორით მხედველიაო“. „სამასალო საგუშავაო“).

რასაკვირველია, საბამ კარგად იცის „სიონის“ კონკრეტული ბიბლიური მნიშვნელობა, რომ ის აღნიშნავდა იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ადგილს, სადაც იყო დავით წინასწარმეტყველის სამეფო სასახლე, რომელთანაც შემდგომში დაკავშირებული იყო მაცხოვარიც და ღვთისმშობელიც. მაგრამ საბამ დააფიქსირა ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობანი, რაც მისი პირველადი შინაარსიდან მომდინარეობდა, რადგან იგი სწორედ ასეთი ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა ჩვენში მრავალი საქრისტიანო ადგილის აღსანიშნავად.

ამ გზით „სიონი“ გადაიქცა ზოგადი, სახეობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვად, რომლითაც შეიძლება ვიგულისხმოთ ტაძარიც, უფალიც, მცნებაც და მეორეს მხრივ, საგუშავოც.

„მობერვა – ქარის მოქროლება. მობერვა არს შინაგანი მოგონების მოცემა ღვთის მიერ“. აქაც ბინარული სემანტიკა მოიცავს მატერიალურ და სულიერ სფეროებს. სიტყვა სახეობრივი ხდება.

„კერპი (– 10,11 ესაია) – აჩრდილია არსებისა. გინა წარმართთა ცრულმერთი, გინა ხელით ქმნილი“. ვარიანტებში განსხვავებული განმარტებანი (მაგალითად, „აჩრდილი არსებისა. კერპი ეწოდების ხელით ქმნულსა ხატსა, ღმერთად საგონებელსა, კვალად, რასაცსა სხვათა ნაცვლად ღმერთისად თავყვანსა სცემდენ“).

კერპი სულიერებიდან დაშორების უკიდურესი ზღვარია. მისგან იწყება არარაობა, ამიტომაც იგი „აჩრდილია არსებისა“. თავისებური გაგებით, კერპი „ხატია“. ოლონდ „ხელით ქმნული“ და არა სული ნმადის შთაგონებული (შეგადართო გიორგი მერჩულის სიტყვები: „ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ ნმადისა“) ე.ი. ხატიც შეიძლება იქცეს კერპად, თუკი მას სული ნმადის შთაგონება არ ახლავს. იქმნება ამნარი თანმიმდევრობა: ღმერთი – ხატი – კერპი, რაც გულისხმობს ღვთაებრიობის განფენას სულიერებიდან არარაობამდე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ს.-ს. ორბელიანს გათვალისწინებული ჰქონდა ერთ-ერთი არსებითი რამ იოანე პეტრიწის ნააზრევინად: პეტრიწისათვის სამყარო სახეთა სისტემაა. სახეები არსებულთა დადგენილ იერარქიას ქმნის. არსებულთაგან ყოველივე სახეა. მთელი სამყარო აღვსილია სახეებით (იხ. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978).

თუ ამასთან დაკავშირებით გავითვალისწინებთ ყოველივეს, რაც „სიტყვაზე“ საბას ნააზრევის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, შემდეგ მოსაზრებამდე მივალთ: საბასთვის „სიტყვა“ მხოლოდ სინამდვილის ამსახველი კი არაა, სიტყვა ყურადღებას იმსახურებს როგორც ყოფიერების იერარქიის ერთ-ერთი არსებითი წევრი, როგორც ყოფიერების უნივერსალური ნაწილი. სიტყვა ყოფიერების სისტემაში აერთიანებს ღვთაებრივსა და ადამიანურს. სიტყვა მხოლოდ საგანს თუ მოვლენას კი არ შეეფარდება, არამედ იგი უშუალოდ მიემართება ლოგოსს. ამიტომ სიტყვას თავისთავად ფასეულობა აქვს და არა მხოლოდ საგანთან შეფარდების მნიშვნელობა.

ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“, სახისმეტყველებით განმარტებების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ღმერთის გააზრებას:

„ღმერთი (3,6 გამოსლ.) – ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა; ღმერთი გამოითარგმანების ხედვა და წვა“.

ამ მცირე განმარტებაში მთელი სისტემაა მოცემული. იქა ღვთის წარმართი-უკუთმითი, ანუ კათეფატიკურ-ამოფატიკური განმარტებანი (დამბადებელი – დაუსაბამო). ამ ანტიწიგარს (ანუ ერთმანეთის საწინააღმდეგო) განმარტებებს მოჰყვება „ღმერთის“ სახეობრივი გააზრება (სწორედ გააზრებას გულისხმობს – „გამოითარგმანების“). ღმერთი გაიზრება ვითარცა „ხედვა და წვა“. გამოდის, რომ მისტიკური წარმოდგენა ღვთისა, მისტიკური სახისმეტყველება მალდება ყოველგვარ განმარტებებზე (ეს საყოველთაო გავრცელებული სისტემა „ეფესისტყაოსანში“ ასეა წარმოდგენილი: ღმერთი არის „უუჟამო უამი“, ხოლო სახისმეტყველებით მისი ხატია მზე, იგულისხმება ცნობრილი სტრიქონები: „მზეო, ვინ ხატად გთქვას მზიანისა ღამისად, ერთობისა ერთისა, მის უუჟამოსა ფამისად“).

„ხედვასა“ და „წვას“ ეკარგება ჩვეულებრივი მნიშვნელობა და ისინი ლოგოსური მნიშვნელობით გამოიარსდება. სახისმეტყველება ღვთაებას ინტუიციურად გვიზიარებს. სახისმეტყველება სძენს სიტყვას ლოგოსურ ბუნებას.

ს.-ს. ორბელიანი აცნობიერებს მხატვრული სიტყვის რაობას, ყოველ შემთხვევაში, სალიტერატურო სიტყვის „რჩეულობას“. როგორც ზემოთაც ითქვა, „სიტყვას“ აღნიშნავდა „ლექსი“ (თუმცა იხმარებოდა, თავად „სიტყვაც“: „სიტყვის კონა“. „ლექსიკონი – ენათა თარგმანი, გინა სიტყვათა გადმოთარგმანება. ქართულად სიტყვის კონა ჰქვინან“). საბა განმარტავს: „ლექსი – სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი, ლექსი არს“. აქ სალიტერატურო სიტყვახმარება უნდა ვიგულისხმოთ, რადგან „ლექსი“ საბასთვის სიტყვაა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ „სრული“ და „რჩეული“. ამიტომ ასეთი სიტყვა შეიძლება იყოს „შენწყობილი“ ანუ „წყობილი სიტყვა“.

სიტყვა რომ იყოს „სრული“ და „რჩეული“, ამისათვის უმთავრესი გზა სახისმეტყველებაა. ამიტომაც, რომ ს.-ს. ორბელიანი „სიტყვის კონაში“ არ იფარგლება სიტყვათა მხოლოდ დეფინიციური განმარტებებით და მათ იგავურ გააზრებებსაც იძლევა, რათა წარმოაჩინოს სიტყვათა სახისმეტყველებითი პოტენციალი.

ცხადია, „სიტყვის კონაში“ სახისმეტყველებითი განმარტებების შესწავლას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთანავე იგი ითხოვს, რომ ს.-ს. ორბელიანის შემოქმედების ანალიზისას შეძლებისდაგვარად ყურადღებული იყოს ცალკეული სიტყვები სახისმეტყველებითი თვალსაზრისით.

## ვის შიამხს საჩივარი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით და რომელი ორბანოები იხილავნ მას?

არჩევნების პროცედურული დარღვევების გამო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირები არიან: სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატი და დამკვირვებელი. არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულების) გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატს.

პროცედურული დარღვევების გამო საჩივარს იხილავს სამეურვეო საბჭოს საარჩევნო კომისია. არჩევნების შედეგებზე საჩივარს იხილავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი არჩევნების საკითხებზე საჩივრების განმხილველი და არჩევნების შედეგების შემსწავლელი კომისია.

## რა წესით ხდება სამეურვეო საბჭოს საარჩევნო კომისიის მიერ პროცედურული დარღვევების გამო შეტანილი საჩივრის განხილვა?

კენჭისყრის დღეს პროცედურული დარღვევების გამო საჩივარი შეიტანება საარჩევნო კომისიაში საარჩევნო უბნის გახსნიდან ხმების დათვლის პროცედურების დასრულებამდე. კენჭისყრის დღეს პროცედურული დარღვევების გამო საჩივარი უნდა გადაეცეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია საჩივარი რეგისტრაციაში გაატაროს საჩივრების უფრნალში, ხოლო განმცხადებელს გადასცეს თავისი ხელმოწერით და სკოლის ბჭეტიტ დამომწებელი ცნობა, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი საჩივრის საარჩევნო კომისიაში მიღების თარიღი და დრო. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, საჩივარზე დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება, შეამოწმოს საჩივრის საფუძვლიანობა, გამოასწოროს დარღვევა ან დასაბუთებული უარის უთხრას განმცხადებელს საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული თაობაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საჩივრების უფრნალში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

## რა წესით ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგებზე საჩივრის განხილვა საპარტიო მონაწილეთა და მეცნიერების სამინისტროში?

არჩევნების შედეგებზე (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება) საჩივარი შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, არა უგვიანეს, კენჭისყრის დღიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საჩივრდება მისი დამტკიცების შესახებ განკარგულებასთან ერთად. საჩივრების განხილვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, იქმნება არჩევნების საკითხებზე საჩივრების განმხილველი და არჩევნების შედეგების შემსწავლელი კომისია, განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული საჩივრის შესწავლა-განხილვის მიზნით, თავისი შემადგენლობის ფარგლებში, შექმნას ქვეკომისიები, რომლებშიც კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დასკვნის მოზადების მიზნით, ნაწილდება კონკრეტული საჩივარი/საკითხი.

ქვეკომისიის მიერ კონკრეტულ საჩივარზე მომზადებული დასკვნა წარდგინდება კომისიას, რომელიც იღებს შემაჯამებელ დასკვნას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი აქტის, სამინისტროში საჩივრის შეტანიდან 15 დღის ვადაში, გამოცემის მიზნით, შუამდგომლობს მინისტრის წინაშე:

- ა) საჩივრის მიღებაზე/განხილვაზე უარის თქმის თაობაზე;
- ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი შედეგების ძალაში დატოვებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის თაობაზე;
- დ) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულების გაუქმების, საარჩევნო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად კენჭისყრის ახალი შედეგების დამტკიცებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის თაობაზე;
- ე) არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება) ბათილად ცნობის და ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე, თუ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, საჩივრების განხილვისას, საჩივრების განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს საჩივრის დადგენილებისას დადგენილი ფაქტების დასაბუთება და საჩივრების განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს საჩივრის დადგენილებისას დადგენილი ფაქტების დასაბუთება და საჩივრების განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს საჩივრის დადგენილებისას დადგენილი ფაქტების დასაბუთება.

## იურისტის კონსულტაცია

ნისტრო ვალდებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისას, გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში, გადაუგზავნოს დაინტერესებულ პირს, შესაბამის სკოლას და საგანმანათლებლო რესურსცენტრს. სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სამინისტროს გადაწყვეტილების გამოქვეყნება სკოლის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

საჩივრის განხილვის პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია, სკოლიდან გამოითხოვოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია (მათ შორის საარჩევნო სიები, ბიულეტენების პაკეტები და ა.შ.), განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს საარჩევნო კომისიის წევრები, კოორდინატორი, დამკვირვებელი და სხვა დაინტერესებული პირი.

## რომელი ორბანო ახორციელებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რეგისტრაციას?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სკოლის სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციას ახორციელებს შემდეგი მონაცემების შესწავლის საფუძველზე:

- ა) განკარგულება შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ თანდართული შემაჯამებელი ოქმით;
- ბ) კოორდინატორებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არჩევნების შესახებ;
- კოორდინატორებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტრო უფლებამოსილია, შეამოწმოს არჩევნების კანონიერება და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი შედეგების ძალაში დატოვებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის თაობაზე;
- ბ) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულების გაუქმების, საარჩევნო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად კენჭისყრის ახალი შედეგების დამტკიცებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის თაობაზე;
- გ) არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება) ბათილად ცნობის და ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე, თუ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების საბოლოო შედეგებზე.
- სამეურვეო საბჭოს წევრების მონაცემები რეგისტრირებულად ითვლება, თუ საინფორმაციო სისტემა, მათი მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, არ აცნობებს სკოლას აღმოჩენილი დარღვევის შესახებ.

## როდის შედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები ძალაში და რა შემთხვევაშია სამეურვეო საბჭო უფლებამოსილი შეუდგება მუშაობას?

არჩევნების შედეგები ძალაში შედის მათი საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ დადასტურებულია სამეურვეო საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

## რა ვადით აირჩევიან სამეურვეო საბჭოში მასწავლებლები და მოსწავლეების მშობლები აირჩევიან 3 წლის ვადით.

სამეურვეო საბჭოში მასწავლებლები და მოსწავლეების მშობლები აირჩევიან 3 წლის ვადით.

## როგორია, სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოს წევრის შიკრივის წესი?

სამეურვეო საბჭოს წევრის გათავისუფლებულ ადგილს დარჩენილი ვადით იკავებს ის მშობელი ან/და პედაგოგიური საბჭოს ის წევრი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში მიიღო სხვა კანდიდატებზე მეტი, მაგრამ საბჭოში მოსახვედრად არასაკმარისი რაოდენობის ხმები. ამ შემთხვევაში, საინფორმაციო სისტემა ახალი წევრის რეგისტრაციას ახორციელებს სკოლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ მოცემული დროისათვის პირი კვლავ აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი პირი აღარ შეესაბამება სამეურვეო საბჭოს შესაბამისი კატეგორიის წევრობის კანდიდატისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს ან თუ არ არსებობს პირი, რომელიც მონაწილეობდა სამეურვეო საბჭოს შესაბამისი კატეგორიის წევრის არჩევნებში, ტარდება რიგგარეშე არჩევნები. ასეთ შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოს წევრი აირჩევა მხოლოდ უფლებამოსილებაშენყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

### თამარ აპალიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

# ხევსურეთის სიძველეთა არქივიდან

ლალი ჯელაძე

„ფიზიკურად ხევსური ჯანსაღი და მაგარი. ამასთანავე ის ამტანია და გამრჯე. ხევსური საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნთებმაგარი. სახით ის გარუჯულია და პირმრგვალი. ცხვირი ხევსურს სწორი მოყვანილობისა აქვს, თვალები დიდი და ლურჯი. ქვევამი დინჯია, მოქმედებაში კი მარდი. გულადობა და გამბედაობა ხევსურს არ აკლია და თავის პიროვნების დასაცავად თავგანწირვამდის მიდის (იციან სისხლის ალება). გულზვიადი და თავმოყვარე ხევსური ზნეობრივ შეურაცხყოფასა და ფიზიკურ სიმახინჯეს ვერ იტანს და თვითმკვლელობასაც სწადის. ცოტადღეს წყენასაც არავის დაუთმობენ და არავის არ დაებრივებია. დამოუკიდებლობა მათ ძლიერ უყვართ. უცხოთან ხევსური ამაყია, მას ხევსურობით თავი მოაქვს, უცხოური არ მოსწონს და მას არც ზაძავს. ამასთანავე ხევსური ფრთხილია და ჭკვიანი. ის ადამიანს ძნელად თუ დაენდობა, მაგრამ დანდობილს ხევსური სამარემდის ჩაპყვება და არ უღალატებს. ხევსურის ქალი ტანით ჯგუფია და ქვევით დინჯი, მას ქალური სინაზე აკლია და მამაკაცური იერი გადაკრავს. ხევსურ ქალსაც ახასიათებს სიმარდე და გულადობა. მაგრამ შრომისა და მძიმე სოციალური პირობების გამო ხევსურ ქალს სევდიანი და მოლუშული გამომეტყველება აქვს. მრუშობა და გარყვნილება ხევსურს ეჯავრება და მას აქ ადგილი არა აქვს.“ – ასე ახასიათებს ხევსურებს ვახუშტი ბაგრატიონი.

ანთროპოლოგიურად ხევსურები გამოირჩევიან აღმოსავლურ-ქართული ტიპის სახით, მათიან რეგიონში და უგზო პირობებში ცხოვრების გამო, ხევსურთა უდიდესი ნაწილი გამხდარია. ხევსურების უმეტესობას თვალები ღია ფერის აქვს, თმის ფერი კი ქერადან მუქ წაბლისფრამდე მერყეობს. ხევსურულ სახესა და ნაკეთებს უფრო თხელი და ნყოფილი ეთქმის.

## გუდანი

ძველი ანდრეზებით, „ხევსურეთის“ დასახლების უპირველეს კერად სოფელი გუდანი მიიჩნევა. „თავდაპირველ ხევსურულ გვარებს ჭინჭარაული, არაბული და გოგოჭური წარმოადგენდა“, დანარჩენი გვარები კი შედგებიან სხვადასხვა წარმოშობის მთიელებისაგან.

შუქძღებელია, რომ გუდანის დაარსების დროს ან იმაზე უნინ, ფხოვის ტერიტორიაზე სხვა გვარები არ მდგარიყვნენ. შესაძლოა, ფხოვი რომელიღაც სხვა გვარების მომძღავერებისას შევიწროებული რამდენიმე გვარი გუდანიში ერთად იყრიდა თავს და ძმად შეყრის გზით ერთმანებობდა გუდანის ჯვარში, ან ფხოვის დასუსტების პროცესში, ძლიერდებოდა რა მისი ერთ-ერთი თემი – „ხევსურეთი“, შეითხზა ანდრეზი ხევსურეთისა და იქმცხოვრები სამი ძმის შესახებ. არაბას, ჭინჭარას და გოგოჭას (ზოგი ანდრეზით, გოგოჭა არაბასა და ჭინჭარას ბიძა ან საერთოდ არ იხსენიება) გუდანიში დასახლებისას მათი კიდევ ერთი „ძმა“ – აფშოელი გელდაური ლიქოკის ხეობაში სახლდებოდა. დაახლოებით XVII საუკუნემდე, ლიქოკის ხეობაში დგანან მაგანსურის მოძმე გვარები. დღე-

ვანდელი ლიქოკის ხეობის მკვიდრნი, ბასხაჯაურისა და ვაჩიაურის გარდა, აქ მოგვიანებით დასახლებულან, ნაწილი – „გელდაურის საქალაქი“ (ზესიძედ). „ხევსურებ პირველში ვყოფილიორთ ლიქოკშია და გუდანი, მემრ ზეისტეჩოში გადასულან“ (სანათისძეთა ზაჭყურას ანდრეზი, ჩაუნერია თ. ოჩიაურს).

ლიქოკის, გუდანის და შემდეგ გორმელის ხეობის მკვიდრნი საფუძველს უყრიან „ხევსურეთის“ ჩამოყალიბებას. აქ იხვეწება და იქმნება დღევანდელი ხევსურეთის ყოფისა და ტრადიციების მასსიათებელი ნიშნები, როგორცაა: ტალავარ-ჩაცმულობა, ნაჭრელა, ალჭურვილობა, სახუცო ტექსტები, კაცის კაცობის მუხლები, ადათობრივი სამართალი, უქმეები და დღეობები.

## ხევსურის სახლ-კარი

ხევსურთა საცხოვრებლები, სახნავ-სათესი სავარგულების უქმარისობის გამო, ძნელად მისადგომ, კლდოვან ადგილებში აშენებული კომპლექსური სახლი იყო, რასაც თავდაცვითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ხევსურის მიერ საცხოვრებლად ადგილის შერჩევას განსაზღვრავდა ჯვარი და ქადაგ-მკითხავი. ცალკეულ საბრძოლო კოშკებსა და ქავე-ციხეებს (გალაგნიან კოშკებს) უფრო ძლიერი გვარები აშენებდნენ. ხშირად კოშკების ქვეშ „დარანიც“ იყო დატანებული, რომელიც წყაროს უკავშირდებოდა და სამალავსაც წარმოადგენდა. კოშკები, ძირითადად, სიპერდიანი (პირამიდულსახურავიანი) იყო. კოშკის საძირკველში, სიმტკიცის ნიშნად, იკოდნენ მუხის კუნძის ან რკინის ნაჭრის ჩატანება. ცოდნით ხელოვნური დამცავი ზღუდის (ფლისკინა, ანუ ბირქი) თხრილიანი კოშკების მშენებლობაც (სამხარაულებს კოშკები ქუდნისლაზე).

XVII საუკუნიდან, ფშა-ხევსურეთში არაგვის ერისთავთა ლაშქრობის შემდეგ, კოშკური კულტურა დაქვეითებას განიცდის და იცვლება ქვითკირული და ტერასულ-კალიონი სახლებით.

ქვის მშრალი წყობით შენდებოდა ხევსურული სახლი, რომელშიც შიგა ტიხრები გამოიწყო და თიხით შელესილი იყო. შიგნიდან ქვის კედლებსაც თიხაში აზღულილი ჩალითა და თხის ბაღნით ლესავდნენ.

პირველი სართულის შესასვლელი წარმოადგენდა „ქარიანის“, სადაც ზაფხულობით საქონელს აბამდნენ. ქარიანიდან ჯერ საძროხეში (სახოზადაც, სახვასტაგე) იყო შესასვლელი, შემდეგ „ნანვლის კართი“ ოჯახის ძირითად სამყოფო ოთახში იყო გასასვლელი, მაგრამ ამ შესასვლელ-გასასვლელით მხოლოდ ქალები სარგებლობდნენ. მამაკაცები მეორე სართულიდან, ჭერხოდან ჩადგმული კიბით ჩადიოდნენ სამყოფში (40-იანი წლებიდან სამყოფში პირველი სართულიდან შესასვლელი ცალკე კარები გამოიღეს).

სახლის პირველი სართული, სამყოფი და საძროხე ერთმანეთისგან ტიხრით იყოფოდა. თავდაპირველად, ტიხარი ნახევრამდე იყო ამოყვანილი. მოგვიანებით, ჭერამდე ასნიეს და ზოგმა ქვის კედელი ამოაშენა, წნელის ტიხრის ნაცვლად. იმდენად შეგუებული იყვნენ ხევსურები საქონლის გვერდით ყოფნას, რომ ამბობდნენ: საქონლის ცოხნის ხმა თუ არ მესმის,



ვერ ვიძინებო. „სამყოფოს“ შუაგულს წარმოადგენდა კერა (ყვერფ-კერა), რომლის თავზე, ჭერში, დატოვებული იყო ღობი კვამლის გასასვლელად, საიდანაც სინათლეც შემოდოდა. ოთახის დასავლეთ მხარეს, კედლის გასწვრივ, იდგა გრძელი, ორნამენტირებული სამამაცო სკამი და ოთახის ნაწილსაც „სამამაცო“ ერქვა. სამამაცო სკამზე მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ, დამსახურებისა და ასაკის მიხედვით. სამამაცოს მოპირდაპირე კედელთან კი „სადიაცო“ მხარე იყო, სადაც იდგა სადიაცო სკამი, კარადა ან გოდორი ჯამ-ჭურჭლისთვის, ტაბლა, ვარცლი, ტარგული და ა.შ.

სამყოფო ოთახს, სინათლის შესასვლელად, კედლებში დატანებული ჰქონდა ვიწრო შუკუ-მები. ისინი ისე იყო დატანებული კედლებში, რომ მზის საკულტო ერთგვარ ობსერვატორიას წარმოადგენდა. შუკუმიდან შემოსული მზის სხივით ადგენდნენ დღე-ღამის კლება-მატებას. მამაკაცები ჭერხოში იძინებდნენ ჩალაგებულ ტახტებსა და ლაჭნებში. ზედ გუდაურებს იფარებდნენ.

ჭერხოში იყო აგრეთვე საოჯახო ინვენტარის და მარცვლეულის შესანახი გოდრები, კიდობნები, ტარგულები, ხოკრები, თიკრულები და სხვა სახის ნივთები. ცალ მხარეს საქონლის საკვებ თივა-ჩალას აწყობდნენ.

ჭერხო და ყოველი ღია ტერასა გადახურული იყო ბანით. ძირითადად ბანზე, სადაც პურს აკალოვებდნენ, დაშენებული იყო მალაღბანიანი კალი, სადაც ძნას ლენავდნენ.

ბანი ძნელად მოსავლელი იყო. იგი წარმოადგენდა ხის კოჭებზე განლაგებულ ჩალისა და ხის წვრილ ტოტებზე დატყვნილი თიხა-მინას, რომელსაც ირგვლივ ბრტყელი ქვის სანაპიროები ჰქონდა შემოწობილი. ბანს რეგულარული ტკეპნა სჭირდებოდა. ამიტომ უთქვამთ ხევსურებზე: ეგერი ის ხალხია, შუგში შინ რო შედინან და წვიმამდე გარეთ გამოდიანო, ეი წვიმის დროს ბანებს ტკეპნიანო.

## რითი იკვებებოდნენ ხევსურები

ხევსურები დღემდე სამჯერ ჭამენ: დილას (სადილი), შუადღისას (სამხარი) და საღამოს (ვახშამი). პურს ჭამენ ტაბლაზე, რომელიც ხის დაბალი და მოკლე სუფრაა და ამ ტაბლაზე დიასახლისი ყველას თავის კერძს ჩამოურიგებს. პურის ჭამის დროს ქალები და კაცები ცალკე სხდებიან და თავიანთი ცალკე სუფრა უდგათ.

პურს აცხობენ და ჭამენ ქერისას, ქერ-სვილისას და ოპიათად იფქლისას. იფქლს ქერ-სვილაში გაურევენ და ისე აცხობენ ხატობასა და ქორნილში. პურს აცხობენ ნაფურას (ხაშინს) და უფურას (უხაშოს). სამინაო პურს არც კი ცირიან. პური აქ ცხვება მრგვალი ფორმისა და ლავაში, მაგრამ ბედნიერ დღეებში (ქორნილი, სტუმრობა და სხვ.) აცხობენ აგრეთვე მრგვალ ხშიადებს, რომლებსაც საჭურეთათი აჭრულენ, ხოლო მის ნაპირებს ხელით მოჭრებენ. საჭურეთა ხისაა, მასზე სხვადასხვა ნიშნებია ამოჭრილი და ყველა ოჯახს საკუთარი ნიშნისა საჭურეთა აქვს.

აცხობენ აგრეთვე ჭიჭიტას, რომელიც მრგვალია (ბუბლიკი) და ნაპირი დაჭრელებული აქვს. მოგრობი ფორმის ლავაშებსაც ხშირად აჭრულენ. ქადა ცხვება ყველიანი და ხავინიანი (გულიანი), აცხობენ მრგვალ და თხელ პურს, კეცულს, რომლის გული ყველითა და მწვანილითაა შეზავებული. კეცულს ერბოში აწობენ და

ისე ჭამენ. ხინკალი იციან ხორცისა. ჭამენ მობარშული სიმინდის კვერს, ღურღუჭელს. მაჭკატს აკეთებენ წმინდა ფქვილისას, რომელსაც რძეში გახსნიან, თხლად ერბოში მოსწავენ და ერბოთივე ჭამენ.

პურს ხევსურეთში ქვის ლუმელში აცხობენ. ლუმელი მიმენებულია სახლის სარკმელთან. ის სიბი ქვისგანაა ნაგები და შუაში დატანებული აქვს ბრტყელი და თხელი სიბი ქვა. ლუმელს ქვეშ ცეცხლს უნთებენ, სიბი ხურდება და მასზე პურის ცომს აწყობენ.

რძის ნაწარმებიდან ჭამენ ერბოსა და ნალეზ-მობდილ ყველს, აგრეთვე კალტს, კარაქს და ნალეზს არ ჭამენ, ზოგი რძესაც არ სვამს.

ჭამენ კარაქის ძირს, რომელსაც სიმინდის ფქვილი მოაყრიან და კოვზით მიირთმევენ.

ხორცეულიდან ჭამენ ხარის, ძროხისა და ცხვრის ხორცს, ძირითადად, მობარშულსა და მშრალს, წვინანებიდან ყაურმას აკეთებენ. ნანადირვიდან კი – ჯიხვის ხორცს. ჯიხვი ხევსურეთში ბევრია, განსაკუთრებით არხოტსა და შატლის მთებში. ჯიხვზე ნადირობაში ხევსურები დახელოვებული არიან და ბლომდაც ხოცავენ. ჯიხვის ტყავს ქურქად იყენებენ და ყიდიან. ჯიხვის ტყავი აქ ერთ ლიტრა ერბოდ იყიდება. ღორსა და კურდღელს ხევსური არ ჭამს, ხატ გვიკრძალავსო, ზოგან ქათამსა და კვერცხსაც არ ჭამენ, – ხატის გვემინაო. თევზს კი ჭამენ. ხორცს ხევსურები ახმობენ და ისე ინახავენ.

ბოსტნეული და ხილი აქ არ ხარობს და ხევსურები ტყისა და მინდვრის ხილით იკვებებიან. მხოლოდ ბარისახოს თემში გვხვდება ზოგი ბოსტნეული და ხილი. ამ ბოლო ხანებში აქ კარტოფილიც ითესება და ხევსურები კარტოხას ჭამენ.

ძლიერ ეტანებიან მხალს, რომელიც მარილწყალში იხარშება, შემდეგ ერბოში მოშუშავენ და ისე მიირთმევენ.

## ხატის მსახური

ხევსურეთში ხუცესი ორგვარია – სულის ხუცი და ხატის ხუცი. სულის ხუცესის მოვალეობას შეადგენს მიცვალებულის წესის რიგის შესრულება, ტაბლების კურთხევა, სულის წყაროს დალოცვა და სხვა. ეს არ შეუძლია ხატის ხუცესს, რომელსაც ეკრძალება მიცვალებულის ოჯახში შესვლა, რადგან ხევსურები ფიქრობენ, რომ მიცვალებული უწმინდურია და ხატი დაგვიზეზავსო. ამიტომ ხატის ხუცესს ევალება მხოლოდ ხატის სამსახური და მისი წესების უმნიშვნელო შესრულება, ის ხატში ხალხს ამწყალობლებს, საკლავებს ხოცავს, საღვთოს იხდის და სხვ.

ხატის საქმე ხუცესს ეკითხება და მას აქ დიდი გავლენა აქვს, ხატობას ნესრიგს ხუცი იცავს – ვინც მშვიდობიანობას დაარღვევს, მას ხუცი აჯურუმებს – საკლავს ან ფულს ახდევინებს.

ხატის დროშის გამოტანა მხოლოდ ხუცესს შეუძლია. ხუცივე დაკლავს სასოფლო საკლავს და სოფელს დაამწყალობლებს. ავისა და ცუდის ჩამდენს, ქურდსა და თემის მოღალატეს ხუცი დაარისხებს, თასით ლუდს დაღვრის და დაინყევლებს. ხუცს თემში საზოგადოებრივი გავლენა აქვს, მის რჩევა-დარიგებას ხატის ყმისათვის სავალდებულო ხასიათი ეძლევა. ხუცს ცუდსა და საწყენს ვერავინ შეუკადრებს, მას მუდამ სუფრის თავში სვამენ.

ამასთანავე, ხუცმა უნდა იწმინდოს, ხატის დარბაზი და საკულტო ნივთებიც წმინდად დაიცვას, რათა ხატმა თემი არ დაამიზნოს. ამიტომ, ხატობის წინ, ექვსი კვირა ხუცი წმინდობს



ათნორაალიაგი

და მარხულობს. ამ დროს ის დიაცს არ ეკარება, მებოსლე ქალთანაც არ გაივლის და მას არც დაეღაპარეკება. თუ წმინდობის დროს ხუცს ძილში ცოლი ან ვინმე სხვა ქალი დაესიზმრება, მაშინ რაც არ უნდა ცივი ზამთარი იყოს, მან მდინარე წყალში უნდა იბანოს.

ხუცობა ხატის არჩევანზე დამოკიდებული და მემკვიდრეობით არ გადადის, ერთხელ არჩეული ხუცესი ამ თანამდებობაზე ბერდება და თუ ხატი აირჩევს, მის შვილს შეუძლია ხუცობის მიღება. ხუცს ხევსურეთში გასამრჯელო არ ეძლევა, ის მხოლოდ საკლავის ფეშხოსა და ტყავს იღებს.

ათენგენობა

ეს არის ქრისტიანული დღესასწაული, რომლის ისტორია III-IV საუკუნეებიდან მოდის, დაკავშირებულია წამებულობის ბერძენი მღვდელმთავრის ათენგენის (ათინოგენ) სებასტიელის სახელთან. ათენგენობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში და სომხეთში. მოძრავი დღესასწაული იყო და არის დღესაც. იმართებოდა ივნის-ივლისში, აღდგომიდან 98-ე დღეს. ათენგენობის დღესასწაულზე ხალხი შესანიშნავისა და სათანადო რიტუალის შესრულებით ცდილობდა ხატის მფარველობა დაემსახურებინა.

ეს დღესასწაული დღესდღეისობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთავია შემორჩენილი. ხევსურეთში და ხევში მას ათენგენობას ეძახიან, თუმცა ათინოგენობას, ზოგან კი იმ ხატის სახელს, სადაც დღეობა იმართება (ლაშარობა, თამარობა, სერობა და ა. შ.).

თუმცა, დღეს მთელთა ათენგენობას, სახელწოდების გარდა, თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან. ეს არის ტიპობრივი ხალხური დღესასწაული, რომელიც იმართება ივლისის II ნახევარში, სხვადასხვა დღეს (ივლისის ბოლოს, 20 რიცხვის შემდეგ პირველი შაბათიდან). ამ დღეს ხატებთან იკრიბება უამრავი ადამიანი, ყველა ხარობს, ქეიფობს, ყველგან სუფრაა გაშლილი, ხუცესები „ხუცობენ“, ხატებთან იწირება საკლავი, შესაძლებელია მთავარია ხევსურული ლუდის დაგემოვნება.

სნორფრობა

სნორფრობა ხევსურეთში გავრცელებული წესია, რომელსაც ძმობილობასაც უწოდებენ. როდესაც ქალვაჟნი ასაკში ჩადგებიან, ირჩევენ თავიანთ სნორფერს. არჩევანი პირად მონონებაზე და სიყვარულზე დამოკიდებული. თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონა, ვაჟი ქალს ძმობას ეტყვის და ამის შემდეგ მათ შორის დაიწყება სნორფრობის რომანტიკა. სნორფერობენ ერთი თემისა და გვარის ქალ-ვაჟნი, ნათესავთა შორის სნორფრობა იშვიათია. სნორფერი ვაჟს უნდა ახასიათებდეს რაინდობა და ნაძმობი ქალისადმი თავდადება და ერთგულება.

ძმობილობა, ტრფიალი, პირველ ხანებში, გამოიხატება მოკითხვა-საჩუქრებში. სნორფერი ქალი თავის ძმობილს უქსოვს და უქარგავს საბეჭურს, საწვივეს, სათამბაქოს და სხვ. ვაჟი კი, თავის ძმობილ ქალს უძღვნის მძივებს, ლილ-ქინძისთავებს, ვერცხლის სამკაულს და სხვ.

ამას ჩქარა მოჰყვება გამიჯნურებული სნორფერთა წოლა. წვებიან ქეროში და ვაჟთან ქალი მიდის, რომელსაც ძმობილთან ერთი „მინა“ (მთილი) არაყიც უნდა მიაქვს. ვაჟი თავს მოიძინარებს, ქალი გამოაღვიძებს მას და არაყს შესამევს.

ახლად შეყრილი სნორფერნი ერთმანეთს ძლიერ მორიდებით ეალერსება. შეიძლება კოცნა, ხვეწვა-ალერსი და ძმობილის მკლავეზე წოლა. გულმკერდი სნორფერებს ერთმანეთზე აქვთ მიკრული, ფეხები და მუცელი კი მოშორებით უნდა დაიჭი-

რონ. ქალის ფარავისა და საყელის ლილის შეხსნა არ შეიძლება, რაც ვაჟ-კაცს უნამუსობაში ჩათვლება; ასეთ სნორფერს დანდობილი ქალი მოიძულეს და სათემოდ შეარცხვენს.

როცა ალერსით დატკბებიან, ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ და დაიძინებენ; ან ვაჟი გულაღმა დანვება, ქალი მის გულმკერდზე თავს დასდებს და ისე მიიძინებს; მაგრამ ქალს არ უნდა დაათენდეს - სირცხვილია. სნორფერთა წოლა ხევსურეთში შეიძლება მკაში, მუშაში, ქორნილში და „ახალხალში“ (ლხინში), სადაც წოლა გათენებამდე გრძელდება, მაგრამ წოლა ისე უნდა მოაწყონ, რომ მოხუცებმა არ დაინახონ, თორემ უზრდელობაში ჩათვლება.

ხატში სნორფერთა წოლა აკრძალულია. მებოსლე სნორფერთანაც წვებიან, მაგრამ სამრევლოდან მოშორებით, სადმე მინდორზე. სნორფერთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ხევსურული ადათით აკრძალულია და ამ მხრივ ნაძმობმა ქალზე არავითარი ძალადობა არ უნდა იხმაროს. ძმობილი ქალი თუ დაროსულა, რაც აქ იშვიათი შემთხვევაა, სნორფერი ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ მას მუცელი მოუშალოს და თემის რისხვა ამით აიცილოს. ერთი გვარისა და სოფლის ძმობილის შერთვა სასირცხვილ ითვლება და ხევსურული ადათით აკრძალულია. დამნაშავეს თემი მოიკვეთს და განდევნის.

ზოგჯერ სნორფერებს ცილაობაც კი მოსდით, მაგრამ მათ შორის ჩხუბი და მტრობა იშვიათია და საქმეც დათმობით თავდება.

ახალი წელი ხევსურეთში

ხევსურები „წელნად“ დიდი სამზადისით ეგებებიან. წინა დღით სახლსა და მის კარმიდამოს ასუფთავებენ და ყველანი ახალი ტალავარით იმოსებიან. სახალწლოდ ოჯახებში არაყს ხდიან და ლუდს ხარშავენ.

დასახლისი სახალწლო კვერებს და ერთ დიდ სამეკვლეო კვერს აცხობს, რომელზედაც გამოსახუ-

ხევსური ხალხის მკურნალობა

ხევსურეთში ხალხის მკურნალობას სათანადო ყურადღება ექცევა. წინააღმდეგობა შემოსავალი ჰქონდა ხევსურეთის დოსტაქარს, რომელიც რთულ ოპერაციებში 5-10 ძროხის საფასურს იღებდა. ამიტომ ხევსურეთში ბევრი ეტანებოდა დოსტაქრობას. მათ შორის იყვნენ გამორჩეული დოსტაქრებიც, რომლებიც რთულ ოპერაციებს და თავის ქალის ტრეპანაციასაც კი აკეთებდნენ.

დღეს კი, დამკვეთი ხევსური, თუ დაკვეთილი მემულე თავში არ არის დაჭრილი, დახმარებისათვის ექიმს მიმართავს, მაგრამ თუ ჭრილობა თავშია, მემულეს დაჭრილი გასასინჯად ჯერ დოსტაქართან მიჰყავს და ჭრილობის სიძიშის მიხედვით დრამას იხდის. შემდეგ დაჭრილი ექიმთან მკურნალობს, რაც დამჭრელს გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე ხევსური დოსტაქარი. მაგრამ ესეც შეთანხმებაზე დამოკიდებული. ზოგჯერ თავში დაკვეთილი ექიმთან არ წავა და დოსტაქართან არჩევს მკურნალობას. ამიტომ თავზე მძიმე ჭრილობის დროს ხევსური დღესაც თავის დოსტაქართან წამლობს. ამ დოსტაქრებს შორის ცნობილია არხოტელი ალექსა ოჩიაური, ქობულეთელი მგელიკა ოქოკელი და შატილელი გუგუა ჭინჭარაული.

ტალავარი

„ხევსურს წითელი ჯვრისანი ჩოხა ადვილად საცნობს ხდის“ (ვაჟა-ფშაველა).

ხევსურის „ახირებული ჩაცმა-დახურვა... განსაკვირვებელია და საინტერესოა თვით უცხო კაცთათვისაც და მეტადრე ჩვენ ქართველებისათვის“ (ალ. ყაზბეგი).

რომელ ხალხებსა და ცივილიზაციებს არ დაუკავშირეს მკვლევარებმა ხევსურის ტალავარი - ინდოევროპელებს, რეტენულებს, შუამდინარეთს, ევროპულ ჯვაროსნებს... ერთი კი ნათელია, რომ კავკასიის მთიანე-

შემდგომი აჭრილობითა და ჯვრიდან მომდინარე გეომეტრიული ორნამენტი, უმაღლეს დონეზე აიყვანეს ხევსურმა ქალებმა და ჩანვდნენ ბუნებრივ ფერთა საიდუმლოს. თუ ფხოვში იყვნენ მჭედლობის მესაიდუმლე გვარები და გადამწენდნენ, იყვნენ და ჩვენ დრომდე მოაღწიეს ნახატისა და ფერის მესაიდუმლე ოსტატმა ქალებმა.

ხევსურულ ქალსაც ფერადად მოქარგული შალის ტალავარი აცვია, მეტადრე ჯუბა და ფაფანავი მშენივრადაა მორთული, თავზე კეკლუცად მანდილი ახვევია. თმა კარგი აქვს, გრძელი, მრავალ ნაწნავებად დაწინილი და შუბლზე დახვეული.

საომარი აღჭურვილობა

ხევსურის საომარი აღჭურვილობა, მისივე ტალავრის მსგავსად, მრავალფეროვანი და ლამაზი იყო.

შინაური და გარეშე მტრისგან მუდმივი საფრთხე, თავმომწონეობა, საზღვრის სიახლოვე, ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობა „ხევსურებს აიძულებდა უფრო ბეჯითად ეზრუნათ საბრძოლო მზადყოფნაზე, ვიდრე საქონლის მომრავლებაზე“ (ალ. ყაზბეგი). მამაკაცს ტახტის თავთან ეკიდა ფარხმალი, ჯაჭვი და თოფი, საგანგებოდ გამზადებული საგზალი და ახლად გაბანდული ჯღან-ქალამანი. იგი ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყო სალაშქროდ.

„ხევსურს... გვერდზე ჩამოკიდებული ფარ-ხმალი ადვილად საცნობს ხდის; სადაც უნდა იყოს ხევსური... იმას თან განუყრელად აქვს იარაღი... ხევსური მშვიდობიანობის დროსაც კი არ იშორებს ტანიდან იარაღს...“ (ვაჟა-ფშაველა).

„უცებ მხურთე თუ მეთაე საუკუნეში გადავსახლდი... დროშისა და დეკანოზის წინ - ოციოდ ლანდი უამ-

მხრებამდე სწვდებათ. ფარები აქა-იქ ნაჭდევნი და ჯავშანნი საკმაოდ შეცვეთილი მონობდნენ, რომ მორკინალთ არა ერთი მკაცრი შებრძოლება ხედენოდათ, ბევრ მათგანს ჭრილობის კვალე შერჩენოდა სახეზე: ეს ალბათ „საქურული მოხვედროდათ. მეომარნი ფარკაობდნენ, როგორც ვიკინგები...“ (გრ. რობაქიძე).

შატილი

შატილი, ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე, უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი, ერთდროულად, საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც, იგი საუკუნეთა მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელს.

სოფლის კიდეებს მიუყვება ერთმანეთთან მიჯრით ნაგები ციხე-სახლების რიგი და იქნება ერთიანი, მიუვალი დამცველი კედელი, რომელიც საიმედოდ ეტყავს სოფელს. გარე სამყაროსთან შატილს არღუნის ხეობაში გამავალი ერთადერთი ვიწრო გზა აკავშირებს. შატილის განაშენიანება ტერასულია, შენობათა ძირითადი ტიპია ბრტყელსახურავიანი სახლი და კოშკური საცხოვრებელი. სოფელს, შენობებს შორის, მთელ სიმაღლეზე აუღის ვიწრო ქვის კიბე, აქა-იქ შემორჩენილია ძვლებისაგან შეკრული ფიცარნაგები - გადასასვლელი, რომელთა მეშვეობით, მტრის შემოსევის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მთელი სოფლის შემორბენა ქუჩაში გამოსვლელად.

მუცო

მუცო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არდოტისწყლის (არღუნის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, ხევსურეთის შემოსასვლელის ისტორიული დარაჯი და დამცველი იყო. სოფელი ზღვის დონიდან 1880 მეტრზეა, დუშეთიდან 121 კმ-შია.



ლია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვ. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს აკვირდებიან და რომელი გამოსახულებაც აინვეს, იმ წელნადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დაიასახლისი ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობს ბედობის კვერს. თითოეულ ბედისკვერს თავისი წილი აზის, გამოცხობის დროს ვისიც აფუფედება, ის ბედინი და ყისმათიანი იქნება.

ახალწლის საღამოს ოჯახიდან ხატში გზავნიან მეკვლეს, რომელსაც მიაქვს არაყი და იმდენი წულისი სანთელი, რამდენი ქუდოსანიცაა ოჯახში. მეკვლეს დაბრუნებამდე ოჯახიდან არავინ გავა.

თის მოსახლეობის ყოფიდან ხევსურული ტოლის (შალის) ტალავარის სახით ჩვენ შენარჩუნებული გვაქვს ისტორიული ხანის ჩაცმულობის იშვიათი, ორიგინალური ნიმუში. იგი გამოირჩევა თავისი არქაულობით, მასალით, აჭრილობითა და ქარგულობით, რაც ცნობილი იყო ქალდეველებში, ურარტულებში, ხეთებში, ბაბილონელებში, ეგვიპტელებში.

ასევე ეცვათ ძველ იბერიელ ტომებს და გვიანობამდე ხევსურთა უშუალო მეზობლებსაც. ლამაზი ტალავარი, რომელიც ოდითგანვე საკუთარი თავის წარმოჩენის დაუოკებელი სურვილით იყო ნაკარნახევი, განსაკუთრებულად სრულყვეს ხევსურებმა. უძველესი კვართი, თავისი

თა წარსულთა, შეჭედილი ჩაფხუტებით, პერანგებით, სამკლავებით, მრავალი ფარებით, ადღზე უგრძესი დაშნებით, ადლიანი სატევრებით, ბუნგრძელი შუბებით, დაღურსმული კომბლებით და ბუნმოკლე სათხედებით. ირგვლივ ჭაბუკები და ყრმები ეხვივნენ, ისინიც ხანჯლებით, მშვილდისრებით, კარპაჭებით, ხის მუზარადებით, კაჟიანი თოფებით და გრძელი ხმლებით ასხმულნი, რომელნიც ტანმორჩილ ბალღებს მინაზე დასთორევენ...“ (მ. ჯავახიშვილი).

„ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკლაური, მხარზე ფარი და ნელზე ხანჯალი: თავზე ჩაფხუტი ეხურათ, რომლის ქვეჩამოშვებული რკინის წერილი ძენკვები

სოფელში, რომელიც თითქმის გაუკაცრიელდა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, დაახლოებით, 40-მდე შუასაუკუნეების გამაგრებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების სახლია განლაგებული ვერტიკალურ ტერასებზე. მუცო-არდოტის ხეობისთავზე ოთხი საბრძოლო დანიშნულების ციხე-კოშკი და რამდენიმე ძველი სტრუქტურის ნანგრევია შემორჩენილი. მისადგომად ერთულ სოფელში შენარჩუნებულია ორიგინალური არქიტექტურა და ის პოპულარული ადგლია ტურისტებისა და მთამსვლელებისთვის. ამჟამად საქართველოს ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ ისტორიულ ძეგლთა სიაშია.

სპორტი

სარიტინგო ტურნირი

ამ დღეებში საქართველოს ძიუდოს აკადემიამ 1999-2000 წლებში დაბადებულ მოზარდთა სარიტინგო შეჯიბრებას უმასპინძლა. ეს სწორედ ის ასაკია, რომელსაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნევს გამოსვლა და მათთვის საგანგებო ტურნირებიც ამ ღონისძიებისთვის უკეთ მოსამზადებლად შარშან შემოიღეს, როცა პირველად ჩაატარეს ქვეყნის პირველობა და გამოიკვეთა ამ ასაკის ნაკრები. ახლანდელი ასპარეზობაც იმ ბირთვის გამოვლენას ისახავს მიზნად, რომელსაც მწვრთნელები სამომავლოდ დაეყრდნობიან. მართალია, ეს ჯგუფი უკვე არსებობს, მაგრამ ახალ-ახალი კადრების შევსება, კონტინენტის განახლება მუდმივად საჭირო პროცესია. ახლანდელი ტურნირიც ამ მიზანს ემსახურებოდა და დანიშნულება მეტ-ნაკლებად გამართლა. ძნელია, ყოველ შეჯიბრებაზე ახალი სახეები გამოჩნდნენ და ახლანდელ მუდგოვანათა უმეტესობასაც მწვრთნელები კარგად იცნობენ, კვარცხლბეკი ნონებში უმეტესად ისევ რეიტინგის ლიდერებმა შეავსეს, თუმცა ტურნირს არც ახალი კადრების გამოჩენის გარეშე ჩაუვლია. შეჯიბრებაში ქვეყნის ყველა რეგიონი მონაწილეობდა, სადაც კი ძიუდოა განვითარებული. მოზარდებმა მოტივაცია ბოლომდე გამოიყენეს და ბლომად მონაწილეც შეგროვდა - 210-მდე ნორჩი ფალავანი ჭიდაობდა. ეს ციფრი ცოტა მეტიც იქნებოდა, რომ არა ფედერაციის ახლებური მიდგომა და პრინციპულობა - ვინც ნონა ვერ ჩააბარა, მათ არც ახალ ნონაში გამოსვლის ნება მისცეს და არც იმ ნონებში აჭიდავეს ვინმე მათ ნაცვლად. აღ-

რე სხვაგან გადანაცვლებაც ჩვეულებრივი ამბავი იყო და მონაწილის შეცვლაც იმის მიუხედავად, რომ ფედერაცია მუდამ ენინააღმდეგობდა ამას, როგორც დისციპლინის დარღვევას, მაგრამ ანგარიშს უწევდნენ გუნდების თხოვნას, თუმცა მუდამ აფრთხილებდნენ, რომ ეს იქნებოდა ბოლო შემთხვევა. როგორც იქნა, ეს „ბოლო“ ამ ტურნირზე დადგა, მაგრამ წინააღმდეგობა ახლაც დიდი იყო. განსაკუთრებით რეგიონების გუნდებისგან, რომლებმაც ყოველი გამოკლებული სპორტსმენის თბილისში ჩამოსაყვანად გარკვეული ხარჯი მართლაც გასწიეს, მაგრამ დისციპლინა რომ აუცილებელია და მოზარდი დასაწყისიდანვე უნდა მიჩვიოთ წესრიგის დაცვას, ეს მათაც უნდა ესმოდათ (იქნებ ამ მარტივი ჭეშმარიტების დარღვევა, ეროვნულ გუნდებშიც ასე ხშირად რომ ვეჯახებით ზედმეტი ნონის პრობლემას). ახლანდელ დავაში ფედერაციას ჭაბუკთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც გვერდით დაუდგა, განსაკუთრებით ნაკრებთა კოორდინატორმა ირაკლი უზნაძემ იაქტიურა, და ფედერაციამ საბოლოოდ თავისი პოზიცია დაიცვა - ვისაც ზედმეტი ნონა აღმოაჩნდა, უპირობოდ მოხსნეს შეჯიბრებიდან. ფედერაციის კიდევ ერთი სიახლე ნონით კატეგორიებს უკავშირდებოდა. ამ ასაკის ნაკრები შარშან შეიქმნა და ტურნირებსაც მამინ ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ეს ბავშვები იზრდებიან, ნონა ემატებათ და შარშანს მერე მათ დიდ ნაწილს ზედა ნონაში უწევდა გამოსვლა. ამიტომ დღის წესრიგში ნონითი კატეგორიების შეცვლის საკითხი დადგა, რაც შემდეგნაირად განხორციელდა - გაუქმდა 30 კილოგრამი კატეგორია, სანაცვლოდ



კი 60 შემოიღეს. შეიცვალა მძიმე ნონაც, რომელიც, +55-ის ნაცვლად, +60 გახდა, თუმცა აქ ძველი სარიტინგო ქულები გადაჰყავთ, 60-ში კი ათვლა ამ შეჯიბრებიდან დაიწყო. საბოლოოდ, ნონითი კატეგორიების მიხედვით, სარიტინგო შეჯიბრების გამარჯვებულები სანდრო ძამაშვილი (34კგ., ქვემო

ქართლი), ნიკა კობაიძე (38კგ., თბილისი), ლაშა ბექაური (42კგ., კახეთი), ალექო მამიაშვილი (46კგ., შიდა ქართლი), გოგა გოგაშვილი (50კგ., თბილისი), ნუგზარ ტაბლიაშვილი (55კგ., ქვემო ქართლი), შათირ შერაზადიშვილი (60კგ., შიდა ქართლი) და ამირან ნიქორიძე (+60კგ., იმერეთი) გახდნენ.

წყალბურთელები „უტონუსოდ“ დარჩნენ

საწყლოსნო კომპლექსმა „ოლიმპიკმა“ 16-წლამდელ წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩებს უმასპინძლა. თუმცა განვილი ტურის სიურპრიზები არ შემოუთავაზებია და კვლავ ლიდერებმა იმარჯვეს. სამაგიეროდ, ტურს გამოაკლდა კლუბი „ტონუსი“, რომელსაც ყველა შეხვედრაში ტექნიკური ნაგება ჩაეთვალა - 0:10. ეს ტური კვლავაც უდანაკარგოდ გაიარა „ივერიამ“, რომელიც ჩემპიონატის უცვლელად ლიდერობს 33 ქულით. მეორე ადგილზეა 27-ქულიანი „ლიგამუსი“, რომელსაც 20 ქულით

„ბათუმი“ მოსდევს. მომდევნო ადგილებზე 10-ქულიანი „ივერია-2“, 9-იანი „თბილისი“ და 7-იანი „ქუთაისი“ არიან.

გორაკლები სომხეთში

გორის ძიუდოს სკოლის გუნდმა წარმატებით იასპარეზა სომხურ გიუმრიში ჩატარებულ პეტროს ნაზარიანის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. შიდა ქართლები იქ მწვრთნელ ნიკო ბიბილაშვილის ხელმძღვანელობით ორივე ასაკობრივ ჯგუფში გამოვიდნენ, 1997-98 და 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის, თუმცა უმცროსთა გუნდის რამდენიმე მონაწილე უფროსებშიც გამოვიდა და ორივეგან შედეგიანად იასპარეზა.



სომხეთში უფრო წარმატებით უმცროსებმა იჭიდავეს - მათ 5 ოქროთი და 3 ბრინჯაოთი გუნდური პირველობა მოიპოვეს. თუმცა ცუდად არც უფროსები გამოსულან, რომელთა წილადაც 3-3 ოქრო-ვერცხლი, 4 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი მოდის. უმცროსებში ჩემპიონები გაგა ჭულუხაძე (27), დარი სუხიტაშვილი (38), ალექო მამიაშვილი (46), რეზო თაბუკაშვილი (60) და ჯაბა ქარელიშვილი (+60) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი არმაზ არჩუაძე (34), დავით დვალიშვილი (38) და ვანო ხარიბეგაშვილი (50) გავიდნენ.



შეჯიბრების დასკვნით დღეს მამიაშვილმა უფროსებშიც იჭიდავა და იქაც ჩემპიონი გახდა. ანალოგიური წარმატების მოპოვება შეეძლო თაბუკაშვილსაც, რომელიც ამავე ასაკში ფინალში გავიდა, მაგრამ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. უფროსებში წარმატებით გამოვიდა ქარელიშვილიც, რომელიც საბოლოოდ ბრინჯაოს დაეუფლა. ამ ასაკში ოქროს მედლები ზურაბ კახინაშვილმა (42) და რობინზონ ბეგლარიშვილმა (50) მოიპოვეს, ვერცხლი - თორნიკე არჩუაძემ (50) და ელგუჯა ზერეკიძემ (73), ბრინჯაო - გიორგი დოღანაძემ (46), ვიქტორ ოდიშვილმა (55) და ვანო მახათაძემ (60).

მისასალმებელია, რომ უფროსებში 50 კილოგრამში ქართული ფინალი გაიმართა, გორელებმა კი ქართული ძიუდოს პრესტიჟი ასე კარგად დაიცვეს.

ფეხბურთელთა სამზადისი

30 ოქტომბერს საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში ჩაებმება, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ჩვენმა ნაკრებმა უკვე დაიწყო შეკრება ეროვნული გუნდის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“, სადაც შესარჩევის დაწყებამდე ივარჯიშებს, 30-ში კი პირველ შეხვედრას უკრაინასთან გამართავს. ორ დღეშია დანიშნული ქვეჯგუფის მეორე მატჩი - ლუქსემბურგთან, შეჯიბრებას კი 4 ნოემბერს შვეიცარიასთან შეხვედრით დავასრულებთ. ელიტ-რაუნდში ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი ავტომატურად გადის, თუმცა შანსი მესამე



ადგილოსანსაც რჩება, ოღონდ ის საამისოდ ყველა ჯგუფის ორ საუკეთესო მესამეადგილოსანში უნდა მოხდეს.

ერთი სიტყვით, ჩვენებურთა ამოცანა არც ისე რთულია. მით უფრო შარშანდელი წარმატების შემდეგ, როცა ამ გუნდმა წარმატებით დაძლია ელიტ-რაუნდიც კი და ფინალურ ეტაპზე გავიდა. თავი არც იქ შეურცხვენია და ევროპის პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

ოღონდ, მას შემდეგ გუნდში, ვასილ მაისურაძის ნაცვლად, მთავარ მწვრთნელად გიორგი დევედარიანი მოვიდა და, რაც მთავარია, ასაკის გამო შეიცვალა თავად მოთამაშეთა შემადგენლობა - შარშანდელიდან ორიოდე ფეხბურთელია დარჩა.

ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც კახი კატარავას ხელმძღვანელობით. ისინი ხორვატიაში ითამაშებენ და ჯგუფიდან გასვლას მასპინძლებთან, აზერბაიჯანისა და ისლანდიის გუნდებთან პაექრობაში შეეცდებიან. ტურნირისთვის მზადების მიზნით მათ უკვე გაიარეს შეკრება „ბასაზე“ და ერთი საკონტროლო შეხვედრაც გამართეს „იბერიასთან“, რომელიც ფრედ - 2:2 დასრულდა.

სიასლა!



კლასიკური შოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პოეზიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საძარტველო
6. ძველწარმადებები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღბი - სიტყვების წყარო
11. კვლევი რევი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საფხაროს წარმოდგენა
16. ძარტველი მემორის შვიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- |                          |                          |                        |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მინილ ჯავახიშვილი     | 10. იოსებ გრიშავილი      | 19. აკაკი წერეთელი     |
| 2. გიორგი ლეონიძე        | 11. პულიკარაძე კაკაბაძე  | 20. რუსთაველი          |
| 3. ირაკლი აბაშიძე        | 12. გურამ რჩულიანი       | 21. ვაჟა-ფშაველა       |
| 4. ნოდარ დუმბაძე         | 13. იაკოვ ხუციანი        | 22. თეიმურაზ I         |
| 5. მირზა ბელოვანი        | 14. იონაე საბანიძე       | 23. ვახტანგ VI         |
| 6. აკაკი ბაქრაძე         | 15. დავით გურამიშვილი    | 24. გიორგი მერჯული     |
| 7. ვასილ გარნოვი         | 16. გენიკი               | 25. გრიგოლ ორბელიანი   |
| 8. პაულუ იაშვილი         | 17. რევაზ ინანიშვილი     | 26. დავით აღმაშენებელი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე ჭავჭავაძე | 27. გურამ ანათიანი     |

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- |  |   |
|--|---|
| 1. ცისფერი ბალერინები - დედა                   | 7. დელფოსელი სიბილა - მიძალანჯელი                       |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი            | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე                            |
| 3. მხედასთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი                 |
| 4. ადელ გლოუ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი  | 10. საძანაღა - რენუარი                                  |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რინი   | 11. საპირაო გასიინება, გრან-შატის კუნძულზე - შორე სიორა |
| 6. მინიები - ველასკესი                         |   |

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

# მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

**თითო ტომის ფასი - 12 ლარი**

- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი **ახალი**
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ **ახალი**
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი **ახალი**
- გუსტავ ფლოპერი - მადამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები

- ჰენრი რაილერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოლერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
- მაინ რიდი - კვარტალონი


## გამოცემოვა „ლიოპენა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე  
~~11 ლარი~~  
9 ლარი




ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი  
თამარ ბეროზაშვილი  
10 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“  
~~10 ლარი~~  
4.90 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“  
~~17 ლარი~~  
14.90 ლარი




მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია  
~~45 ლარი~~  
35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია  
~~36 ლარი~~  
26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია  
~~40 ლარი~~  
30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთომეული  
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი  
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი ენციკლოპედია  
ერთი ტომის ფასი ნაცვლად 11 ლარისა  
**9 ლარი**

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ სალსთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ ჩვენი დედამიწა
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები

- ❖ კომპები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ საშურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ქალაქები

## ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გოთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:  
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >